



**განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი**

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა.(ა).ი.პ. ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება

ბუგეულის საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *სოფიო ჭუმბურიძე*

კვების დარგში ექსპერტი: *თამარ ჭონიშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *ბაია აბაშიძე*



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულება
საიდენტიფიკაციო ნომერი	422990339
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	ბუგეულის საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ქ.ამბროლაური ვანო კობახიძის N7
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი სოფელი ბუგეული



დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>		
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ		
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/>	
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ		
ვიზიტის საფუძველი <i>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)</i>	სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 28 მაისის N MES 6 25 0000588940	
ვიზიტის პერიოდი <i>(თარიღი)</i>	2025 წლის 17-18 ივნისი	
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ <small>(ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)</small>		
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა	
6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ		
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.		



N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
2	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“	ქართული		<p style="text-align: center;">17</p> <p>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input type="checkbox"/></p> <p style="text-align: center;">არ ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/></p> <p>რეკომენდებული რაოდენობა 15 ბავშვი</p>

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

„ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ა(ა)იპ - ამბროლაურის სკოლამდელ საადმინისტრაციო დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 მაისის N MES 6 25 0000588940 ბრძანების შესაბამისად შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: ემილია გაბრიამე-კაკაბაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე); ბ) სოფიო ჭუმბურიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი); გ) თამარ ჭონიშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი); დ) ზაია აბაშიძე - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი) განახორციელა ვიზიტი სტატუსის მაძიებელ ა(ა)იპ - ამბროლაურის სკოლამდელ საადმინისტრაციო დაწესებულებაში სოფელ ბუგეულის საბავშვო ბაღში 2025 წლის 17-18 ივნისს.

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პირობების „დროებითი წესის მე-6 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში საქმიანობა განახორციელა წინასწარ შედგენილი გრაფიკის-დღის წესრიგის მიხედვით. თითოეული სტანდარტის, კომპონენტის, კრიტერიუმის და ინდიკატორის მიხედვით იქნა შეფასებული ყველა საკითხი. შედგა ინტერვიუები, მოხდა დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა - შეფასება, სივრცის ვიზუალური დათვალიერება, ვიზიტის ბოლოს წარედგინათ ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი შედგა მშვიდ და საქმიან გარემოში. დასრულდა იგი პოზიტიური მოლოდინებით და მზაობით ცვლილებებისადმი.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა) (ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“)		
2. კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია 11
- 1.2. სტრატეგიული განვითარება 16
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა 22
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება 27
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება 38
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა 39
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება 42
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება 46
- 4.2. პროცესების მართვა 60
- 4.3. მატერიალური რესურსი 66
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი 66
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები 67
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება 67
- 4.7. ფინანსური რესურსი 78



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - „ ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი“, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს - „ჩვენი საბავშვო ბაღის მისიაა ბავშვებისათვის სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდა-განათლების მომსახურების მიწოდება/უზრუნველყოფა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. შევქმნათ უსაფრთხო, თბილი, მეგობრული და ინკლუზიური გარემო, სადაც ბავშვები იქნებიან თავისუფალი მოაზროვნეები და ჩამოყალიბდებიან პასუხისმგებლიან მოქალაქეებად“.

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მისიით გასაზღვრულია მისი შინაარსობრივი მოთხოვნა, ძირითადი დანიშნულება; იგრძნობა ინსტიტუციურად მდგრად განვითარებაზე ორიენტირება, მისიაში ჩანს დაწესებულების იდენტობა და ძირითადი მიზეზი და მიზანი, რისთვისაც საერთოდ არსებობს ეს დაწესებულება, ჩანს თემის სპეციფიკა და გამოწვევები; მოიცავს თემებს-ბავშვის განათლება, გონებრივი და ფიზიკური განვითარება, უსაფრთხოება, კეთილდღეობა, წარმატება, პოტენციალი, უნარები და შესაძლებლობების განვითარება. წარმოდგენილი მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი, გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები და წარმოდგენილია დოკუმენტით - „ ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი”,

დაწესებულების ხედვაა: „საბავშვო ბაღის მისიიდან გამომდინარე განსაზღვრული გვაქვს მომავლის ხედვა: 2030 წელს ავტორიზებული იქნება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვები იქნებიან თავისუფალი მოაზროვნეები და ჩამოყალიბდებიან პასუხისმგებლიან მოქალაქეებად. “

დაწესებულების ხედვით განსაზღვრულია პერსპექტივა ხუთწლიან პერიოდზე; ჩანს მიზანზე ორიენტირებული სასურველი შედეგი. არის ამბიციური და მისიიდან გამომდინარე სტრატეგიული გეგმის შემუშავების ძირითადი ორიენტირი; მოცემული დროის პერიოდში დაწესებულების წარმატება გაზომვადია.

დაწესებულების ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან და ის შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

- ✓ სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა
- ✓ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა
- ✓ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა
- ✓ კეთილსინდისიერება
- ✓ უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა
- ✓ გუნდურობა
- ✓ გამჭვირვალობა
- ✓ სანდოობა
- ✓ მშობლებთან/თემთან პოზიტიური ურთიერთობა

ესაა ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინებით მოქმედებს დაწესებულება და რ არის დაწესებულების ორგანიზაციული კულტურის ნაწილი, მოქმედების სტილი, იმიჯის და მოლოდინის შემქმნელი, იძლევა მოლოდინის გამართლების ასოციაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 17 აპრილის №31. 7625107001 ბრძანებით - აღნიშნული დოკუმენტი არ მოიცავს, და არც ცალკე დოკუმენტის სახით დაწესებულებას არ აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულების შემუშავების, ჩართულობის, გაზიარების, უკუკავშირის და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმი, არ აქვს განსაზღვრული დაინტერესებულ მხარეთა წრე, შემუშავების პროცესში მათი ჩართულობის მექანიზმები.

დაწესებულების მიერ დამატებითი მტკიცებულებათა სახით ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 3 თებერვლის ბრძანება „ავტორიზაციის კომისიის შექმნის შესახებ“, რომელიც არ შეიცავს პუნქტს, იმის თაობაზე, რომ ეს სამუშაო ჯგუფი მუშაობს დაწესებულების მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავება/შექმნაზე. ასევე ჩართულობის დადასტურების მიზნით დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილ იქნა დაწესებულების ხელმძღვანელის მიმართვა მერისადმი და რესურსცენტრის დირექტორისადმი ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში წამომადგენლის ჩართვის თაობაზე და მერის უკუკავშირის წერილი წარმომადგენლის წარდგენაზე. აღნიშნული დამატებითი დოკუმენტები არ იქნა ჩვენს მიერ გაზიარებული, როგორც დაწესებულების მისიის ხედვის და ღირებულების შემუშავებაში დაინტერესებული მხარის ჩართულობის მტკიცებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოფს დოკუმენტი „სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც გაწერილი იქნება დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, გაზიარების, ჩართულობის და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ასევე თანხვედრაში იქნება დაწესებულების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიასთან“ და უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და ჩართულობის უზრუნველყოფის პროცესის და აქტივობების ასახვა/დოკუმენტირება

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ სრულყოფილ იქნება დოკუმენტი "სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია", რომელშიც დეტალურად გაიწერება:

- დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია
- დაინტერესებულ მხარეთა წრის განსაზღვრის კრიტერიუმები
- ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეტაპები
- გაზიარების პროცესისა და საჯაროობის უზრუნველყოფის გზები

- უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინების პროცედურები უზრუნველყოფილ იქნება დოკუმენტის თანხვედრა დაწესებულების "საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიასთან". ავტორიზაციის კომისიის ბრძანებაში შევა შესაბამისი ცვლილება, რომელიც ნათლად განსაზღვრავს კომისიის პასუხისმგებლობას დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე. აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, არ მოიცავს მისიის ხედვისა და ღირებულების გაცნობა/გაზიარების მექანიზმებს. დაწესებულების მიერ მისიის ხედვისა და ღირებულების გაცნობა/გაზიარების მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ფოტო რომელზეც ასახულია საბავშვო ბაღის საინფორმაციო დაფაზე გაკრული A4 ფორმატზე დაბეჭდილი მისია, ხედვა და ღირებულება, რომელიც გასაცნობადაა პერსონალისათვის და მშობლებისათვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისთვის, მხოლოდ ადგილზე. რაც ასევე დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუების მეშვეობით; მაგრამ არ დასტურდება საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოფს დოკუმენტი „სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც გაწერილი იქნება დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ასევე თანხვედრაში იქნება დაწესებულების „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიასთან“ და უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების აქტივობების ასახვა/დოკუმენტირება. გაზიარების მეთოდების ჩამოყალიბების დროს ყურადღება მიექცეს გაზიარებას, როგორც მიკუთვნების, თანაშემოქმედებითობის, თანამოაზრობის, „ჩვენ“ განცდის მექანიზმების განსაზღვრას.

რჩევა

დაწესებულებას შეუძლია მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დასადასტურებლად განათავსოს ის ვებგვერდზე ან სოციალურ პლატფორმაზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ

სრულყოფილი იქნება დოკუმენტი "სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია", რომელშიც დეტალურად გაიწერება:

- დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცედურები
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა/გაზიარების მრავალფეროვანი გზები
- საჯაროობის უზრუნველყოფის კონკრეტული ინსტრუმენტები (როგორც ფიზიკური, ისე ციფრული)

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი;
2. „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმწრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 17 აპრილის №31. 7625107001 ბრძანება (დანართი „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“)
3. მისიის ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტის შემუშავების ოქმი
4. ბაღის საინფორმაციო დაფის ფოტო
5. ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელ ნუნუ გოცირიძესთან

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>



1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას თვითშეფასების ფორმის დანართად წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმწრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 17 აპრილის ბრძანებით №31. 7625107001; დოკუმენტს აქვს ე.წ. გზამკვლევის დრაფტის ფორმატი დაინტერესებული პირისათვის, რომელიც აღწერს როგორ, რა დანიშნულებით უნდა შექმნას ეს დოკუმენტი, რას უნდა მოიცავდეს, რას უნდა არეგულირებდეს და ა.შ. და ის არ არის ადაპტირებული თავად დაწესებულებაზე. დოკუმენტში არ არის გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, ჩართულობის, გაზიარების, მონიტორინგისა და შეფასების, ცვლილებების შეტანის (სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფორმა და პერიოდულობა, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფორმა და პერიოდულობა, სტრატეგიული გეგმის შეფასების ფორმა და პერიოდულობა, სამოქმედო გეგმის შეფასების ფორმა და პერიოდულობა) მექანიზმები.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, მაგრამ მასში გაწერილი აქვს მხოლოდ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების წესის შემუშავება ერთწლიან პერიოდში, წარმოდგენილი დოკუმენტი არ პასუხობს სხვა მოთხოვნებს ამ ინდიკატორისათვის.

არ არის განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შექმნის/შემუშავების, დაგეგმვის, გაზიარების, უკუკავშირის მიღების, ცვლილებების შეტანის მექანიზმები, ჩართულ მხარეთა წრე და არ არის გათვალისწინებული მათი ჩართულობის გზები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი „სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც გაწერილი იქნება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების, გაზიარების, ჩართულობის და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ცვლილებების პროცედურები და უზრუნველყოს ამ პროცესების და აქტივობების ასახვა/დოკუმენტირება.

რჩევა

გაზიარების მეთოდების ჩამოყალიბების დროს ყურადღება მიექცეს გაზიარებას როგორც მიკუთვნების, თანაშემოქმედებითობის, თანამოაზრობის, „ჩვენ“ განცდის მექანიზმების განსაზღვრას

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს დოკუმენტის- "სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია" სტულყოფას, რომელიც სრულად იქნება ადაპტირებული ჩვენი დაწესებულების სპეციფიკასა და საჭიროებებზე: მასში დეტალურად გაიწერება: სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების კონკრეტული პროცედურები და ეტაპები სამოქმედო გეგმის შემუშავების მექანიზმები და მეთოდოლოგია დაინტერესებულ მხარეთა წრის მკაფიო განსაზღვრა (პედაგოგიური პერსონალი, ადმინისტრაცია, მშობლები, ადგილობრივი თვითმმართველობა, სხვა დაინტერესებული მხარეები) ჩართულობის და გაზიარების უზრუნველყოფის მექანიზმები საჯაროობის უზრუნველყოფის საშუალებები. დოკუმენტში დეტალურად გაიწერება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, განისაზღვრება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის მკაფიო პროცედურები, შემუშავდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შექმნის/შემუშავების, გაზიარების, უკუკავშირის მიღებისა და ცვლილებების შეტანის დოკუმენტირების სისტემა.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელ დაწესებულებას თვითშეფასების ფორმის დანართად წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი- ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 2025 - 2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 17 აპრილის №31. 76251072 ბრძანებით; განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის ხანგრძლივობა და იგი ხუთწლიანია;

სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია მისია, ხედვა და ღირებულებასთან და ჩანს მათი რეალიზების გზა, დაგეგმვის პროცესი მოიცავს არსებული მდგომარეობის შეფასებას, იდენტიფიცირებულია ძლიერი და სუსტი მხარეები, იკვეთება კავშირი ხედვასთან, რა მდგომარეობასთანაც უნდა მივიდეს დაწესებულება გეგმის განხორციელებით გარკვეული პერიოდის შემდეგ. განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის ელემენტები - მიზნები და ამოცანები, მიზნები გამომდინარეობს მისიიდან, მიმართულია კომპლექსური გამოწვევების გადაჭრაზე, ხოლო ამოცანები თანხვედრაშია მიზანთან. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის ჩარჩო და ის წარმოდგენილია ნარატივის სახით:

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას თვითშეფასების ფორმის დანართად წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი- ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმწრდელო დაწესებულების 2025 - 2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმწრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 17 აპრილის №31. 76251072 ბრძანებით; განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის ხანგრძლივობა და იგი ხუთწლიანია;

სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია მისია, ხედვა და ღირებულებასთან და ჩანს მათი რეალიზების გზა, დაგეგმვის პროცესი მოიცავს არსებული მდგომარეობის შეფასებას, იდენტიფიცირებულია ძლიერი და სუსტი მხარეები, იკვეთება კავშირი ხედვასთან, რა მდგომარეობასთანაც უნდა მივიდეს დაწესებულება გეგმის განხორციელებით გარკვეული პერიოდის შემდეგ. განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის ელემენტები - მიზნები და ამოცანები, მიზნები გამომდინარეობს მისიიდან, მიმართულია კომპლექსური გამოწვევების გადაჭრაზე, ხოლო ამოცანები თანხვედრაშია მიზანთან. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის ჩარჩო და ის წარმოდგენილია ნარატივის სახით:

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ სრულყო სამოქმედო გეგმის ფორმატი, რომელიც უნდა იძლეოდეს კონკრეტული ბაღისათვის პრობლემების და მათი დაგაჭრის გზების იდენტიფიცირების საშუალებას, ეს შეიძლება მოხდეს ერთ საერთო ფორმაში ცალკეული ბაღების მითითებით, ან ცალკეულ ბაღებზე შედგეს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, რომელიც იქნება დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით, ხოლო თითოეულ დანართზე მითითებულ იქნება საბავშვო ბაღის დასახელება და ბრძანების რეკვიზიტები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი 2025 წლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით და მოიცავს შემდეგ სავალდებულო ველებს: - 1. სტრატეგიული მიზანი, 2. ამოცანა, 3. აქტივობა, 4. ინდიკატორი, 5. განხორციელების ვადა/პერიოდი, 6. პასუხისმგებელი შესრულებაზე, 7. რესურსები. ცხრილი ასევე მოიცავს შემდეგ დამატებით ველებს: მტკიცებულება, დაფინანსების წყარო, აქტივობის შესრულების სტატუსი და შესრულების მოკლე აღწერა;

2025 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზანი და მისი შესაბამისი ამოცანა გადმოტანილია სტრატეგიული გეგმიდან; ამოცანები ჩაშლილია აქტივობებად; აქტივობის განსახორციელებლად გაწერილია ინდიკატორები და პერიოდი; თითოეულ აქტივობაზე მითითებულია პასუხისმგებელი პოზიცია უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით;

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში რესურსებით უზრუნველყოფის ნაწილში, ჩანს მხოლოდ, რომ აქტივობის შესასრულებლად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი, მაგრამ არ არის გაწერილი საჭირო ფინანსური რესურსის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც გაწერილი იქნებოდა „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში“ სამოქმედო გეგმის შემუშავების/ჩამოყალიბების მექანიზმში და/ან გათვალისწინებული იქნებოდა შემუშავებულ სამოქმედო გეგმის ჩარჩოში უცილებელ ველად, რითაც შესაძლებელი იქნებოდა გეგმის რეალისტურობის დადგენა. დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში“ არის ასეთი ჩანაწერი: „სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია“, იქვე შემუშავებულია სამოქმედო გეგმის ჩარჩო, სადაც საერთოდ არ არის მითითებული ველი ფინანსური რესურსის გამოყენების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი „სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“ სადაც დაწესებულების სამოქმედო გეგმის შემუშავების/ჩამოყალიბების მექანიზმში გეგმის რეალისტურობის დადგენის მიზნით გაწერილი იქნება გეგმის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმები და/ან შემუშავებულ სამოქმედო გეგმის ჩარჩოში დაამატოს ველი ფინანსური რესურსების გამოყენების თაობაზე.

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება სრულყოფს დოკუმენტს 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმას. რეკომენდაციის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში განისაზღვრება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია”, იქვე შემუშავებული იქნება სამოქმედო გეგმის ჩარჩო, სადაც მითითებული იქნება აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და მისი შექმნა გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ერთწლიან პერიოდზე

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოფს დოკუმენტი „სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“ (შეუძლია დამოუკიდებელ დოკუმენტად შექმნას „დაწესებულების სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა“), სადაც გაწერილი იქნება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობის და დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის მისი გამოყენების მექანიზმები და მისი შექმნა გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ერთწლიან პერიოდზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოფილი დოკუმენტი „სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია“ (შეუძლია დამოუკიდებელ დოკუმენტად შექმნას „დაწესებულების სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა“), სადაც გაწერილი იქნება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობისა და დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის მისი გამოყენების მექანიზმები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 17 აპრილის ბრძანება №31. 7625107001 (დანართი „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“);
2. „ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 2025 - 2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“, ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 17 აპრილის №31. 76251072 ბრძანება (დანართი „ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 2025 - 2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“);
3. „ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის №31. 76251207 ბრძანება (დანართი „2025 წ სამოქმედო გეგმა“);
4. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ხვანჭკარის საბავშვო ბაღი;
5. ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელ ნუნუ გოცირიძესთან

შეფასება:

1.2. სტრატეგიული განვითარება

შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
--------------------------------------	----------------------------------------------------------	-------------------------------------------------	-----------------------------------------

2. კურიკულუმი ³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა.

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულება ხელმძღვანელობს კურიკულუმებით: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, რომელიც დამტკიცებულია ამბროლაურის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 17.04.2025 წლის N 31 76251073 ბრძანებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის N 831 76251210 ბრძანებით (იკითხება ამავე დოკუმენტის თავფურცელში), ამის გარდა არსებობს ცალკე ბრძანების ფორმა-„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ ბრძანება-ბ31 76251208. თარიღი 30.04.2025 წ. აქედან ჩანს, რომ ერთი და იგივე დოკუმენტის ბრძანების ნომრები ერთმანეთს არ ემთხვევა. აღნიშნული წესი არეგულირებს კურიკულუმის შერჩევის საკითხებს: ა) კურიკულუმის შერჩევა; ბ) კურიკულუმის დამტკიცება; გ) კურიკულუმის გაზიარება; დ) კურიკულუმის შეფასება და განვითარება. „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“

³ მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

დამტკიცებულია კურიკულუმის დეკლარირების შემდეგ, რაც ნიშნავს, რომ ლოგიკური თანმიმდევრობა არ არის დაცული. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შერჩევის ამსახველი მასალა. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი დოკუმენტი, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად „კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შეხვედრა, თემა კურიკულუმის შერჩევა“, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი მასალები, მაგალითად, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება და ჯგუფის მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების მასალები. მეთოდისტთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ კურიკულუმის შერჩევის პროცესი რეალურად არ განხორციელებულა. აღმზრდელმა ინტერვიუს დროს განმარტა, რომ ადრეული განათლების კურიკულუმით თამაშით ხელმძღვანელობენ 2022 წლიდან და წელსაც აგრძელებენ აღნიშნული კურიკულუმით საგანმანათლებლო პროცესების განხორციელებას;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, პირველ ეტაპზე უნდა შემუშავდეს/დამტკიცდეს მარეგულირებელი წესი, რის შემდეგაც მოხდება ამ წესით განსაზღვრული პროცესების განხორციელება. განახორციელონ კურიკულუმის შერჩევა მარეგულირებელი წესის შესაბამისად. კურიკულუმის შერჩევის პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია შეიქმნას კურიკულუმის შერჩევის ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული იქნება უფლებამოსილი პირის მიერ, ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა არსებული კურიკულუმების განხილვა და შერჩევა სასურველი კურიკულუმის, რომელიც ხელს შეუწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ: 1. დაწესებულება აღიარებს, რომ კურიკულუმის შერჩევის პროცესში დარღვეული იყო ლოგიკური თანმიმდევრობა და ვალდებულებას იღებს, გამოსწოროს აღნიშნული ხარვეზი: პირველ ეტაპზე, განხორციელდება "კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის" გადახედვა და ხელახალი დამტკიცება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დოკუმენტის სრულყოფილება და მარეგულირებელი წესის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, გამოსწორდება ბრძანებებში არსებული ტექნიკური უზუსტობები და შეუსაბამობები
2. მარეგულირებელი წესის დამტკიცების შემდეგ, დაწესებულება ვალდებულებას იღებს, განახორციელოს კურიკულუმის შერჩევის პროცესი ამ წესის სრული დაცვით: გამოიცემა დირექტორის ბრძანება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ ჯგუფის შემადგენლობაში ჩართული იქნებიან მეთოდისტები, აღმზრდელები და სხვა კვალიფიციური პერსონალი. უზრუნველყოფილი იქნება ყველა წევრის ინფორმირებულობა მათი ჯგუფის წევრობისა და პასუხისმგებლობების შესახებ. ორგანიზებული იქნება სამუშაო შეხვედრები ჯგუფის წევრების მონაწილეობით
3. კურიკულუმის შერჩევის პროცესში დაწესებულება უზრუნველყოფს: სხვადასხვა არსებული კურიკულუმების განხილვას, შედარებასა და

ანალიზს. კურიკულუმების შეფასებას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით. შერჩეული კურიკულუმის დამტკიცებას დირექტორის ბრძანებით.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს კურიკულუმის შერჩევის პროცესის სრულ დოკუმენტირებას, დოკუმენტირებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესი

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ არსებული კურიკულუმების სახით წარმოადგინა შემდეგი სახელმძღვანელოები: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ ნაწილი პირველი მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და ნაწილი მეორე პრაქტიკული სახელმძღვანელო /სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობების კრებული ნაწილი პირველი და ნაწილი მეორე. ბრძანებით დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას.

კურიკულუმები ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



ვიზიტის დროს დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაშით და სასკოლო მზაობის პროგრამით“. კურიკულუმები ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაშით და სასკოლო მზაობის პროგრამით“. კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაშით და სასკოლო მზაობის პროგრამით“ კურიკულუმები ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის გაზიარების პროცესს არეგულირებს ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის N 831 76251210 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ მუხლი 3 „კურიკულუმის გაზიარება“, რის მიხედვითაც დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმის უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს: ა) მშობლები; ბ) დაწესებულების პერსონალი; გ) თემი/მუნიციპალიტეტი; დ) და სხვა. დაწესებულება კურიკულუმების გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს (პირისპირ შეხვედრები; საინფორმაციო დაფები; მოკლე ტექსტური შეტყობინებები; სატელეფონო ზარები; ელექტრონული ფოსტა).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ 30.04.2025 წლის ბრძანება-831 76251208
2. „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (დოკუმენტი) დამტკიცებული ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის N 831 76251210 ბრძანებით
3. ამბროლაურის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 17.04.2025 წლის N 31 76251073 კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება;
4. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში ნაწილი პირველი მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და ნაწილი მეორე პრაქტიკული სახელმძღვანელო /სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის;
5. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობების კრებული ნაწილი პირველი და ნაწილი მეორე.



შეფასება:

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
--------------------------------------	----------------------------------------------------------	-------------------------------------------------	-----------------------------------------

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს ამბროლაურის სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“. მექანიზმი არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პერიოდულობას და ხანგრძლივობას. მექანიზმის მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისათვის აღმზრდელის მიერ მოხდება გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავება. მოკლევადიანი გეგმა გათვლილია ერთ კვირაზე, რომელიც იწერება ყოველკვირეულად, გრძელვადიანი გეგმა არის ერთ თვიანი, გეგმების შედგენა დაიწყება წლის დასაწყისში და გაგრძელდება მთელი წლის მანძილზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს ამბროლაურის სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომლის შემადგენელი თავში (გეგმის შედგენის პროცესი) იკითხება, რომ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება

საგანმანათლებლო პერსონალის მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება, თუმცა მექანიზმში განსაზღვრულია მხოლოდ მოკლევადიანი გეგმის შედგენის პროცესი (მოკლევადიანი გეგმები შემუშავებულია უშუალოდ თითოეული ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ), არ არის განსაზღვრული გრძელვადიანი გეგმის შედგენის პროცესი. მეთოდისტან ინტერვიუს გზით გამოვლინდა, რომ ის გეგმების შედგენის პროცესში უწევს კოორდინირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში“ აისახოს გრძელვადიანი გეგმის შედგენის პროცესი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში“ ავსახავთ გრძელვადიანი გეგმის შედგენის პროცესს და მექანიზმის ახალი რედაქცია დამტკიცებული იქნება უფლებამოსილი პირის მიერ.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: აღმზრდელის პორტფოლიო (დღის განრიგი, გეგმები, რეფლექსური ჩანაწერები); სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო; ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები. შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებს და ინტერესებს. დაწესებულებაში არსებობს ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“. მექანიზმის შემადგენელი თავი-„გეგმისა ფორმა“ განსაზღვრავს, რომ ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები აისახება გეგმის ფორმებში, დაკვირვება/რეფლექსიის სივრცის არსებობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“. მექანიზმის თავი – „გეგმვში ინდივიდუალიზაციის გათვალისწინება“, განსაზღვრავს, რომ გეგმვში იკითხება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და თავისებურებები, აღნიშნულის უზრუნველყოფა ხორციელდება ორი გზით: მოკლევადიანი გეგმების და ინდივიდუალური გეგმების გამოყენებით, გარკვევით არ არის აღწერილი მოკლევადიანი გეგმის ფორმაში ინდივიდუალიზაციის გათვალისწინება რა გზით ხდება. აღნიშნული მექანიზმი ასევე განსაზღვრავს მკვეთრად გამოხატული სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შედგენას. ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები ასევე აისახება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ წარმოებულ ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ჩანაწერებში – ვკითხულობთ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში“ ნათლად განისაზღვროს, როგორ აისახოს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები მოკლევადიან გეგმაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“, განსაზღვრავს გეგმის ფორმას, რომელშიდაც ასახული იქნება ხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში, რაც გამოვლინდება საგანმანათლებლო პერსონალისათვის განსაზღვრულ ველებში. თამაშზე ორიენტირებული პროცესები, გამოვლინდება საგანმანათლებლო პერსონალისათვის განსაზღვრულ ველებში. აღმზრდელთან ინტერვიუს გზით დასტურდება, რომ ტრანზიციის პროცესს განახორციელებენ თამაშის ელემენტებით,

როგორცაა სახალისო სიმღერები, წარმოსახვითი თამაშები, ქესტიკულაცია, რასაც მოწმობს ბაღში არსებული პრაქტიკაც. ჯგუფის ვიზუალური დათვვალეერებისას ჩანს ჰართის პროგრამის ელემენტების გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

მნიშვნელოვანია ჰართის პროგრამის ელემენტების გამოყენება რეგულირდებოდეს დოკუმენტით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შიდა და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა, ასევე არსებული საგანმანათლებლო რესურსი იძლევა სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალებას. ჯგუფის ოთახი დაყოფილია ცენტრებად (ხელოვნების; წიგნიერების სივრცე; დრამატული/კუბურების გაერთიანებული სივრცე; სენსორული სივრცე; მათემატიკის სივრცე; მუსიკის სივრცე), სადაც ბავშვებს ექნებათ შესაძლებლობა ითამაშონ ინდივიდუალურად და მცირე ჯგუფებად. ჯგუფის ოთახი იძლევა ჯგუფურ თამაშში ჩართვის შესაძლებლობას. ეზოში ბავშვებს ექნებათ შესაძლებლობა მეორადი რესურსებით მოწყობილ სივრცეებში ინდივიდუალურად და ჯგუფურად ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის თამაშში. ჯგუფის დღის განრიგი ითვალისწინებს ჯგუფში და ეზოში გასახორციელებელ აქტივობებს/თამაშებს. ეზო დაყოფილია მეორადი რესურსით შექმნილი სათამაშო სივრცეებით. გამოყოფილია: შეხვედრების სივრცე; მუსიკალური კუთხე; კარავი; მოწყობილია სენსორული ბილიკი; ციფრების ბილიკი; ბალანსის აღჭურვილობა; ქვიშის მოედანი; გასადრომი კონსტრუქცია; გადასახტომი; დგას პორტატული სასრილო; ცხენი; ველოსიპედი; გამოყოფილია ადგილი მოძრავ წესებიანი თამაშისთვის

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“ არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის საკითხს. აღნიშნულ მექანიზმში ვკითხულობთ, რომ საგანმანათლებლო რესურსის მიწოდება არის მუდმივი, უწყვეტი და თანმიმდევრული. ბაღი განსაზღვრავს მინიმალურ საგანმანათლებლო რესურსს და შემდეგ ეტაპზე ახორციელებს ამ რესურსის შეძენას ორი გზით: სატენდერო შესყიდვით და პირდაპირი შესყიდვით. ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებას გაწერილი აქვს სქემა, თუ როგორ მოახდენს ინფორმაციის მიღებას საჭირო რესურსის შესახებ და როგორ მოახდენს ამ რესურსების მიწოდებას. სქემის თითოეული ამ ეტაპის განხორციელების დასტურად ასახელებს შესაბამის დოკუმენტაციას. აღნიშნულ მექანიზმში არ არის ასახული დამატებით რა ალტერნატიულ გზებს გამოიყენებს ბაღი საგანმანათლებლო რესურსის მოსაძიებლად. ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში“ აღნიშნავს, რომ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი წინასწარ აქვს განსაზღვრული, თუმცა ბაღში ვიზიტის დროს ვერ მოიძებნა მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

შეადგინონ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა; მექანიზმში ასახონ დამატებით რა ალტერნატიულ გზებს გამოიყენებს ბაღი საგანმანათლებლო რესურსის მოსაძიებლად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ: 1. დაწესებულება შეიმუშავებს და დაამტკიცებს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხას, რომელიც შეესაბამება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, განსაზღვრავს რესურსების მინიმალურ რაოდენობას ჯგუფებისა და ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით. 2. დაწესებულება განახორციელებს "საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის" სრულყოფას, რომელშიც დამატებით ასახება საგანმანათლებლო რესურსების მოძიების ალტერნატიული გზები.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა. ვერ მოვიკვლიე ჩანაწერი, თუ რა დაანგარიშების ცხრილი/სქემა არსებობს, ერთ ბავშვზე რა რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსის შეძენაა გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა, დაწესებულებას უნდა ქონდეს დოკუმენტაცია, რომელიც თითოეული პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას გამოაჩენს, საგანმანათლებლო რესურსი უნდა იყოს ბავშვების რაოდენობის შესაბამისი

რჩევა

სასურველია საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრისათვის გამოიყენონ ცენტრის მიერ მომზადებული-„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსით უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის” თანადართული სარეკომენდაციო ცხრილი

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ: 1.

დაწესებულება შეიმუშავებს და დაამტკიცებს კურიკულუმის (ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" და სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში") შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის დეტალურ ნუსხას, 2. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის შემუშავებისას დაწესებულება გამოიყენებს ცენტრის მიერ მომზადებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსით უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის” თანადართულ სარეკომენდაციო ცხრილს. დაწესებულება შეიმუშავებს დოკუმენტაციას, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების შეძენის, განაწილებისა და გამოყენების პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. **ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ჯგუფის ოთახის ფიზიკური სივრცის მოწყობა მეტნაკლებად არის კურიკულუმის შესაბამისი. ჯგუფის ოთახი დაყოფილია სივრცეებად (ხელოვნების; წიგნიერების სივრცე; დრამატული/კუბურების გაერთიანებული სივრცე; სენსორული სივრცე; მათემატიკის სივრცე; მუსიკის სივრცე), გამოყოფილია წყნარი სივრცე, ჯგუფი აღჭურვილია ბავშვის სიმაღლის შესაბამისი ავეჯით, კედლები არის ნეიტრალური ფერის, შეხვედრების სივრცე არ არის გამოყოფილი, არ არის გამოყოფილი კვლევის სივრცე, ცენტრებზე ნაწილი მინიშნებების არის მხოლოდ წარწერით და არ არის მარტივად აღქმადი, კედლები არის გადატვირთული, გამოკრულია ბევრი ფონური აპლიკაცია, შეიმჩნევა კედლების დაზიანებული ადგილები, კედლები დატვირთულია არა ბავშვის, არამედ უფროსების ნამუშევრებით, ავეჯი ფერადია. ეზოს მოწყობა არის კურიკულუმის შესაბამისი, ეზო დაყოფილია მეორადი რესურსით შექმნილი სათამაშო სივრცეებით. გამოყოფილია: შეხვედრების სივრცე; მუსიკალური კუთხე; კარავი; მოწყობილია სენსორული ბილიკი; ციფრების ბილიკი; ბალანსის აღჭურვილობა; ქვიშის მოედანი; გასაძრომი კონსტრუქცია; გადასახტომი; დგას პორტატული სასრილო; ცხენი; ველოსიპედი; გამოყოფილია ადგილი მოძრავ წესებიანი თამაშისთვის

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, ჯგუფის სივრცეში გამოიყოს შეხვედრების და კვლევის სივრცე კურიკულუმის შესაბამისად, ყველა მინიშნებას ქონდეს დასურათება და იყოს მარტივად აღქმადი, კედლები გაათავისუფლოდ უფროსების ნამუშევრებისაგან, რომლებიც არაფუნქციურია და ქმნიან ბევრ ფონურ აპლიკაციას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ ჯგუფის სივრცეში გამოყოფილი იქნება შეხვედრების და კვლევის სივრცე კურიკულუმის შესაბამისად, ყველა მინიშნება იქნება დასურათებული, რათა იყოს მარტივად აღქმადი.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა: რომ ჯგუფის ოთახი დაყოფილია ცენტრებად, ცენტრებში ღია თაროებზე განთავსებული რესურსი უმეტეს წილად არის ცენტრის შესაბამისი და ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის, ჯგუფში არსებული რესურსის ნაწილი მოთავსებულია გამჭვირვალე კონტეინერებში, რესურსის ნაწილი კონტეინერების გარეშე ღიად არის განთავსებული თაროებზე, მუსიკალური რესურსი არ არის



ხელმისაწვდომი ბავშვებისათვის, კედლებზე განთავსებული მასალის უმეტესობა არ არის ფუნქციური, „მათემატიკის სივრცის“ დასახელება სწორად არ არის ფორმულირებული, სივრცეებზე არის ვიზუალური მინიშნებები, ჯგუფში არის ქარხნული რესურსი, მეორადი რესურსი, ხელნაკეთი რესურსი, ბუნებრივი რესურსის რაოდენობა მწირია, რესურსის ნაწილი არის დაზიანებული

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, ცენტრის რესურსი, რომლებიც კონტენერების გარეშე ღიად არის განთავსებული თაროებზე, მოათავსონ სათავსებში ვიზუალური მინიშნებით, მუსიკალური რესურსი განათავსონ ბავშვების სიმაღლეზე, ცენტრები შეავსონ მეტი რაოდენობის ბუნებრივი რესურსით, მოხმარებიდან ამოიღონ დაზიანებული სათამაშოები

რჩევა

სასურველია „მათემატიკის“ სივრცეს გაუკეთონ „სამაგიდო თამაშების“ სივრცის მინიშნება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ ჯგუფში არსებული რესურსი, განთავსებული იქნება კურიკულუმის შესაბამისად. მოხდება ცენტრების შევსება მეტი რაოდენობის ბუნებრივი რესურსით და მოხმარებიდან ამოღებული იქნება დაზიანებული სათამაშოები

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ჯგუფური ოთახი მოწყობილია იმგვარად, რომ ბავშვებს აქვთ პასიურ და აქტიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა, ჯგუფის სივრცეში ბავშვებს აქვთ დასვენების და განმარტოების შესაძლებლობა, რისთვისაც მოწყობილია წყნარი სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის“ თავი-„ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები“ არეგულირებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას, აღნიშნული თავის ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების თანმიმდევრული პრაქტიკა. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის გამოიყენება: დაკვირვების ობიექტური ჩანაწერები, ჩეკლისტები, ცხრილები, კითხვარები (მათ შორის მშობლებისათვის, ბავშვის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვებისათვის).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში, რაც იკითხება ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში“. აღნიშნული მექანიზმის თავში-„ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები“, მოცემულია ბავშვის შეფასების სარეკომენდაციო ნიმუში ცხრილის სახით, რომლის მიხედვითაც ბავშვზე დაკვირვება, ბავშვის ინტერესების და საჭიროებების გამოვლენა ხდება რეგულარულად, ხოლო ბავშვის პროგრესის შეფასება განვითარების ყველა სფეროში ხდება წლის მანძილზე არანაკლებ ორჯერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, ჩანაწერები დათარიღდეს და გაუკეთდეს მინიშნებები (დამკვირვებელი; დროის მონაკვეთი; ადგილი, სადაც მიმდინარეობს პროცესი), ამასთან სასურველია შეფასებისთვის გამოიყენონ „შეფასებითი პორტფოლიო“.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შეფასების შედეგები გამოყენება საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვისთვის, რაც იკითხება ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში“ . „მრავალფეროვანი მეთოდებით შეგროვებული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის გზით მიღებული ინფორმაცია სპეციალისტებს სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება, რაც ბავშვებისთვის დღის საქმიანობების დაგეგმვასთან არის დაკავშირებული. სპეციალისტი დააკვირდება ბავშვებს, შეისწავლის მათ ინტერესებს, საჭიროებებს და სწორედ ამის გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო კვირის საგანმანათლებლო პროცესს, იფიქრებს ფიზიკურ გარემოში ცვლილებების შეტანის საჭიროებებზე; იფიქრებს ინდივიდუალიზაციის პროცესზე

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ოჯახის ჩართულობა შეფასების პროცესში ხორციელდება როგორც ოჯახებისგან ინფორმაციის მიღებით, ასევე მათთვის გარკვეული შედეგების გაზიარებით, იკითხება ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში“ . თავი- „ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები“. აღნიშნულ მექანიზმში გაწერილი მშობლისგან ინფორმაციის მისაღები კითხვარი და ბავშვის შეფასების ფორმა ვერ მოვიძიე. ვიზიტის დროს შესწავლილი მასალებიდან იკვეთება, რომ ბაღს არ აქვს შედგენილი მშობლებთან ჩასატარებელი შეხვედრების გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ ბავშვის შეფასების პროცესში მშობლის ჩართულობა ასახოს მექანიზმში.

რჩევა

სასურველია, ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობა თითოეულ მშობელთან მოხდეს ინდივიდუალურად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ: 1.

დაწესებულება სრულყოფს "საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმს", კერძოდ, "ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები"-ს ნაწილს, სადაც დეტალურად გაიწერება მშობლის/ოჯახის ჩართულობის კონკრეტული ფორმები ბავშვის შეფასების პროცესში, 2. დაწესებულება შეიმუშავებს და დანერგავს შემდეგ დოკუმენტებს - მშობლისგან ინფორმაციის მისაღები სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტს, მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრების ოქმის ფორმა. დაწესებულება შეადგენს მშობლებთან ჩასატარებელი შეხვედრების წლიურ კალენდარს/გეგმას, რომელიც ასევე აისახება საკომუნიკაციო გეგმაში. განსაზღვრავს ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრების პერიოდულობას, შეხვედრებში გათვალისწინებული იქნება შეფასების შედეგების გაზიარებისა და განხილვის საკითხები და მშობელთა ჩართულობის გზები სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“
2. ტრანზიციის განხორციელების ფოტო მასალა
3. ჯგუფის და ეზოს ფოტოები
4. საინვენტარიზაციის აღწერის დოკუმენტი, აღმზრდელის მოთხოვნა საკანცელარიო მასალაზე, საკანცელარიო მასალის გასავლის ზედდებული, საკანცელარიო მასალის გასავლის უწყისები, წიგნების/სათამაშოების აღრიცხვის ფურცელი.

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების და შეფასების მარეგულირებელ წესში“ იკითხება-„კურიკულუმის დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას, რასაც არეგულირებს ამბროლაურის სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251208 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, მუხლი 4. „კურიკულუმის შეფასება. აღნიშნული წესის შესაბამისად კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად/2 წელიწადში ერთხელ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251208 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, გარკვევით მიეთითოს კურიკულუმის შეფასების სიხშირე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამბროლაურის სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251208 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ მუხლი 5. არეგულირებს კურიკულუმში ცვლილებების შეტანას. მეთოდისტთან ინტერვიუს გზით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება კურიკულუმის შეფასების შემდეგ განახორციელებს ცვლილებებს საჭიროების შემთხვევაში. ამ დროისათვის წესის დამტკიცებიდან არ არის გასული შესაბამისი პერიოდი, რაც შესაძლებლობას მისცემდა დაწესებულებას განეხორციელებინათ ცვლილებები კურიკულუმში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251208 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“;
2. ინტერვიუ მეთოდისტთან

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს ამბროლაურის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის /ზადების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-ბ31. 76251185 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რითაც რეგულირდება მშობლებთან და თემთან თანამშრომლობა, აღნიშნული წესის მე-6 მუხლში - „საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა“ აღნიშნულია, რომ „დაწესებულება საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვისთვის იყენებს დანართი N-1-ით განსაზღვრულ ცხრილს, რომელშიდაც განისაზღვრება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული“. წესს თან ახლავს საკომუნიკაციო გეგმა, რომელშიდაც გაწერილია მხოლოდ ორი, შიდა აუდიტორიის ჩართულობით განსახორციელებელი აქტივობა, საკომუნიკაციო გეგმას არ აქვს მინიშნება, თუ რომელ დაწესებულებას ეკუთვნის. მეთოდისტთან ინტერვიუს გზით გამოვლინდა, რომ წინასწარ არ ქონდათ გეგმის სახით

გაწერილი მშობლებთან და თემთან თანამშრომლობა. ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 28/04/2025 წლის N ბ 31. 76251185 ბრძანების ჩანაწერში დასამტკიცებელი დოკუმენტის სახელწოდება (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმის და საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ) არ ემთხვევა იგივე ნომრით დამტკიცებული დოკუმენტის სახელწოდებას (ამბროლაურის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის /ზალების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-ბ31. 76251185 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, შედგენილ იქნას კონკრეტული დაწესებულების „საკომუნიკაციო გეგმა“, რომელშიდაც გაწერილი იქნება მშობლებისა და თემის ჩართულობით განსახორციელებელი აქტივობები.

რეკომენდებულია, ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 28/04/2025 წლის N ბ 31. 76251185 ბრძანების ჩანაწერში დოკუმენტის სახელწოდება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმის და საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ემთხვეოდეს იგივე ნომრით დამტკიცებული დოკუმენტის სახელწოდებას (ამბროლაურის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის /ზალების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-ბ31. 76251185 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი).

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ: დაწესებულება უზრუნველყოფს „საკომუნიკაციო გეგმის“, შედგენას, რომელშიდაც გაწერილი იქნება შემდეგი საკითხები : 1. მკაფიოდ იქნება მითითებული დაწესებულების სახელწოდება, 2. დეტალურად გაიწერება მშობლების ჩართულობით განსახორციელებელი აქტივობები, 3. განისაზღვრება თემის წარმომადგენლების ჩართულობით დაგეგმილი ღონისძიებები, 4. დაზუსტდება თითოეული აქტივობის განხორციელების ვადები, პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირები. 5. ჩამოყალიბდება აქტივობების შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმები. 6 დაწესებულება უზრუნველყოფს დოკუმენტაციაში არსებული ტექნიკური უზუსტობების გამოსწორებას.- ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 28/04/2025 წლის N ბ31. 76251185 ბრძანების ჩანაწერში დაზუსტდება დოკუმენტის სახელწოდება, რათა ის ემთხვეოდეს ამავე ნომრით დამტკიცებული დოკუმენტის სახელწოდებას,

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს ამბროლაურის სააღმწრდელო დაწესებულების დირექტორის /ბალების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-ბ31. 76251185 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც ითვალისწინებს მშობლებთან და თემთან განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვას. აღნიშნულ წესში არ არის განსაზღვრული წახალისების ფორმები, თუმცა აღმწრდელო ინტერვიუს გზით დასტურდება, რომ წახალისების მიზნით შესასვლელ სივრცეში მოწყობილია „იდეების ყუთი“, ასევე წახალისების მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს/თემს გააცნობს დაგეგმილ აქტივობებს, რაც განხორციელდება განსაზღვრული საკომუნიკაციო არხების საშუალებით, ასევე დაგეგმილი აქტივობის დროის მოახლოებისას გაუკეთებს დამატებით შეხსენებას ჩართულ პირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

ამბროლაურის სააღმწრდელო დაწესებულების დირექტორის /ბალების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-ბ31. 76251185 ბრძანებით დამტკიცებულ „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ განისაზღვროს თემის და მშობლების ჩართულობის წახალისების გზები. არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამბროლაურის სააღმწრდელო დაწესებულების დირექტორის /ბალების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-ბ31. 76251185 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის,“ მუხლი 4. „საკომუნიკაციო არხების შერჩევა,“ არეგულირებს მშობლებთან და თემთან ურთიერთობისას კომუნიკაციის მრავალფეროვანი მეთოდების და არხების გამოყენებას. დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია: პირისპირ შეხვედრები, საინფორმაციო დაფა, მოკლე ტექსტური შეტყობინება, სატელეფონო ზარი, ელექტრონული ფოსტა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამბროლაურის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის /ზაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-831. 76251185 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
2. ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 28/04/2025 წლის N ბ 31. 76251185 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმის და საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. „იდევების ყუთი“-ფოტომასალა;
4. „საინფორმაციო დაფა“-ფოტომასალა;

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს ამბროლაურის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის /ზაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-831. 76251185 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ . აღნიშნულ წესს დანართი N-1-ის სახით თან ახლავს

ცხრილი, ცხრილში გაწერილია მხოლოდ ორი, შიდა აუდიტორიის ჩართულობით განსახორციელებელი აქტივობა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ცხრილში არ არის გაწერილი დაგეგმილი აქტივობები მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, შემუშავებულ იქნას საკომუნიკაციო გეგმა, სადაც გაიწერება ცნობიერების ამაღლების მიზნით, მშობლებთან სავალდებულოდ გასავლელ თემებთან ერთად, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული თემები და აქტივობები

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება შეიმუშავებს საკომუნიკაციო გეგმას, სადაც გაიწერება ცნობიერების ამაღლების მიზნით, მშობლებთან სავალდებულოდ გასავლელ თემებთან ერთად, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული თემები და აქტივობები

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ოჯახის ჩართულობა შეფასების პროცესში ხორციელდება როგორც ოჯახებისგან ინფორმაციის მიღებით, ასევე მათთვის გარკვეული შედეგების გაზიარებით, იკითხება ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 30.04. 2025 წლის N 31. 76251209 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმში“. თავი- „ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდები“. აღნიშნულ მექანიზმში გაწერილი მშობლისგან ინფორმაციის მისაღები კითხვარი და ბავშვის შეფასების ფორმა ვერ მოვიძიე. ვიზიტის დროს შესწავლილი მასალებიდან იკვეთება, რომ ბაღს არ აქვს შედგენილი მშობლებთან ჩასატარებელი შეხვედრების გეგმა, რომელშიდაც გაწერილი იქნება ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ მშობლის ინფორმირებულობა შესაბამისი აქტივობით

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია, ბაღს შედგენილი ქონდეს მშობლებთან ჩასატარებელი შეხვედრების გეგმა, რომელშიდაც გაწერილი იქნება ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ მშობლის ინფორმირებულობა შესაბამისი აქტივობით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის შესაბამისად შემუშავდება მშობლებთან ჩასატარებელი შეხვედრების გეგმა, რომელშიდაც გაწერილი იქნება ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ მშობლის ინფორმირება. შემუშავებული იქნება შეფასების ფორმები .

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამბროლაურის საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის /ზალების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-ბ31. 76251185 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ განსაზღვრავს საკომუნიკაციო გეგმის არსებობას, რომელიც ემსახურება შიდა და გარე სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციას. აღნიშნული წესის შესაბამისად განსაზღვრულია შიდა და გარე სამიზნე აუდიტორია, სწორედ გარე აუდიტორიას განეკუთვნება საზოგადოების/თემის წარმომადგენლები. ვიზიტის დროს ვერ მოიძებნა დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს თემში არსებული რესურსის გამოყენების მიზნით კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თემში არსებულ რა რესურსს გამოიყენებს, კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დოკუმენტში განსაზღვრავს, თემში არსებულ რა რესურსს გამოიყენებს, კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. დოკუმენტში იდენტიფიცირებული იქნება თემში არსებული რესურსები: ფიზიკური/ინფრასტრუქტურული რესურსები (პარკები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, თეატრები, სპორტული მოედნები), ადამიანური რესურსები (ადგილობრივი ხელოსნები, მხატვრები, მუსიკოსები, ფერმერები, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები), ბუნებრივი რესურსები (ტყეპარკი, მდინარეები, სოფლის მეურნეობის ობიექტები), კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები (ისტორიული ძეგლები, ტრადიციული რეწვის ნიმუშები), საგანმანათლებლო რესურსები. დოკუმენტში გაიწერება თითოეული რესურსის გამოყენების შესაძლებლობები, კურიკულუმის სხვადასხვა თემებისა და მიმართულებების ფარგლებში, თემატური აქტივობების ჩამონათვალი, რომლებიც

შესაძლებელია განხორციელდეს თემში არსებული რესურსების გამოყენებით. დაწესებულება შეიმუშავებს თემში არსებული რესურსის რუკას. დაწესებულება უზრუნველყოფს თემში არსებული რესურსების გამოყენების დოკუმენტირებას. აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამბროლაურის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის /ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-ბ31. 76251185 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მუხლი 6- „განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა“ არეგულირებს სამიზნე აუდიტორიასთან უკუკავშირის ეფექტიანობის შესაფასებლად, უკუკავშირის მექანიზმების გამოყენებას. ეს მექანიზმებია: ა) კითხვარები; ბ) იდეების ყუთი; გ) ღია შეხვედრები; დ) კომუნიკაციის კონკრეტული არხით მოსარგებლეთა რაოდენობის მონიტორინგი; ე) სამიზნე აუდიტორიისგან უკუკავშირის მიღების სიჩქარის შემოწმება. აღმზრდელთან ინტერვიუს გზით გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან შეაფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შესაბამისად განახორციელებს ცვლილებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

ჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამბროლაურის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის /ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის N-ბ31. 76251185 ბრძანებით დამტკიცებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“
2. ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 28/04/2025 წლის N ბ 31. 76251185 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმის და საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ



შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ფუნქციონირების დასადასტურებლად სტატუსის მამიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დაწესებულების დაფუძნების და რეგისტრაციის შესახებ არსებული დოკუმენტები - „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების“ წესდება და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ასევე წარმოდგენილია სოფელ ბუგეულის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დასტურდება, რომ ის შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლისა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნის დასადასტურებლად, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია პერსონალით, რათა დაწესებულებამ იფუნქციონეროს, წარმოდგენილია დაწესებულების ორგანოგრამის სქემა და საშტატო ნუსხა- „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი აღზრდის

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

დაწესებულების 2025 წლის ბიუჯეტის/საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ დირექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №31.7624359001, რომელსაც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტი. ასევე წარმოდგენილია „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია“, დაწესებულების შრომის შინაგანაწესი და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები. მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება: რომ, პერსონალის რაოდენობა საკმარისია, როგორც რაოდენობრივ და ფუნქციურ ჭრილში, რომ არსებული პერსონალის რაოდენობით უზრუნველყოფილია დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირება, ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს იდენტიფიცირებული დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები და მათი აღმწერები, თითოეულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი და მათი სამუშაოთა აღწერილობები. შესაბამისად, არ აქვს შემუშავებული თითოეული პროცესისათვის საჭირო პერსონალის აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრის და დროებით არმყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების, ფუნქციათა შეთავსების მექანიზმები, რითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა პროცესების უწყვეტი და შეუფერხებელი მიმდინარეობა. დაწესებულების ორგანოგრამით ჩანს 10 პერსონალი: ხელმძღვანელი, ფსიქოლოგი, აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, ექთანი, მზარეული, ძიძა-სანიტარი, დეკორატორი, მუსიკის მასწავლებელი, დამხმარე (მუშა); დასაქმებულია ათივე პოზიციის პერსონალი. ხოლო ინკლუზიის მხარდაჭერი პოზიცია გათვალისწინებულია მხოლოდ გაერთიანების დონეზე.

წარმოდგენილ საშტატო ნუსხაში არ არის გათვალისწინებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ბავშვებთან თანაფარდობის ნაწილში, რაც გამოიხატება შემდეგი ვითარებით: ჯგუფი არის შერეული ასაკობრივი, საგანმანათლებლო პერსონალი წარმოდგენილია ერთი აღმზრდელით და ერთი აღმზრდელის თანაშემწით სრული დღის განმავლობაში. არ აქვთ აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია. მართალია არ არსებობს დასაბუთება მოთხოვნილ ბავშვთა რაოდენობაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოთხოვნილი 17 ბავშვისათვის უკვე გათვალისწინებული უნდა იყოს ორი აღმზრდელის პოზიცია, მით უფრო გაწერილი უნდა იყოს მათთვის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები სრული ციკლით მუშაობის დროს დღის განმავლობაში;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია“, სადაც გაწერილი იქნება დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირების, მიმდინარე პროცესების უწყვეტი და შეუფერხებელი მიმდინარეობის მექანიზმები, ორგანოგრამის შესაბამისად შეიმუშაოს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები, ერთმანეთთან თანხვედრაში მოიყვანოს პერსონალთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი. გაითვალისწინოს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფის მექანიზმები. სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხა უნდა აკმაყოფილებს იმ პროცესების შესრულებას, რაც გაწერილია მე-4 სტანდარტის მე-2 კომპონენტში, რომელიც ეხება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირებას და მათი მართვის პროცესს.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება

სრულყოფს და დაამტკიცებს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტს“, სადაც გაწერილი იქნება დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირების, მიმდინარე პროცესების უწყვეტი და შეუფერხებელი მიმდინარეობის მექანიზმები, შემუშავდება დროებით არმყოფი თანამშრომლის ჩანაცვლებისა და ფუნქციათა შეთავსების კონკრეტული პროცედურები, დაწესებულება ორგანოგრამის შესაბამისად შეიმუშავებს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალს და მათი აღმწერებს, ერთმანეთთან თანხვედრაში მოვა პერსონალთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი. მათ შორის შემუშავდება და დამტკიცდება "მართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები" გათვალისწინებული იქნება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფის მექანიზმები. საშტატო ნუსხში გათვალისწინებულია იქნება იმ პროცესების შესრულება მე-4 სტანდარტის მე-2 კომპონენტის შესაბამისად, რომელიც ეხება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირებას და მათი მართვის პროცესს. გაწერილი იქნება საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები სრული ციკლით მუშაობის დროს დღის განმავლობაში. შესაბამისობაში იქნება მოყვანილი აღმზრდელების რაოდენობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად. დამატებით ერთი აღმზრდელი პოზიცია დაემატება საშტატო ნუსხას და დამტკიცდება შესაბამისი წესით.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა - ორგანოგრამა, რის მიხედვითაც სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას სამუშაო პროცესი დანაწილებული აქვს პერსონალის ფუნქციების მიხედვით.

დაწესებულებას პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებული აქვს სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში, ესენია „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის №31. 76251206 ბრძანება), შრომის შინაგანაწესი (დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 20 იანვრის №31. 76250202 ბრძანება), მაგრამ პერსონალის ფუნქციები/უფლება-მოვალეობები ამ დოკუმენტებში გაწერილი არაა, ის გაწერილია ცალკე არსებულ დოკუმენტში - „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები“ და არ არის დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით.

დაწესებულებას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდასა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აქვს თანამდებობრივი პოზიციების ჩამონათვალი გაერთიანებისათვის საერთო საშტატო ნუსხის სახით, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმების შემდეგ, დაწესებულების დირექტორი ამტკიცებს ბრძანებით, ხოლო თითოეული დაწესებულებისათვის/საბავშვო ბაღისათვის აქვს სახელობითი საშტატო ნუსხის დანაწილების პრაქტიკა დამტკიცების გარეშე. ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად, აუცილებელი პირობა, რომ დაწესებულებას ჰყავდეს ხელმძღვანელი და საკონსულტაციო საბჭო, დაკმაყოფილებული აქვს. ასევე მოთხოვნა, რომ მას ჰყავდეს

რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, დაკმაყოფილებულია - წარმოდგენილია დირექტორის 04/02/2025 წლის ბრძანება N 831.76250356) პასუხისმგებელი პირის დანიშვნის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ სრულყოფილად გაწეროს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია, მათ შორის პერსონალის ფუნქციები/უფლება-მოვალეობები/პასუხისმგებლობები, რომელიც თანხვედრაში იქნება დოკუმენტთან „დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი ითვალისწინებს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით სამ ძირითად მიმართულებას. პირველი ესაა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღმზრდელ-პედაგოგისათვის, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N 478 დადგენილებით. მეორე ესაა დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მესამე, ესაა სხვა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის N24 დადგენილებით.

დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტი დამტკიცებულია „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის N23 დადგენილებით.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ბუგეულის საბავშვო ბაღის პერსონალის პირადი საქმეები.

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას მოქმედი სამტატო ნუსხით არ აქვს გათვალისწინებული აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია;

საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი შეესაბამება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის N24 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

სხვა პერსონალი შეესაბამება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის N23 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტი“, რომელიც დამტკიცებულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის N23 დადგენილებით, განსაზღვრულია დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი, ესენია აღმზრდელ-პედაგოგი, საგანმანათლებლო პროცესების მხარდამჭერი პერსონალი და ბავშვთა ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალი. ხოლო მოთხოვნა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის უნარების ფლობის თაობაზე, საგანმანათლებლო პერსონალისადმი არ არის გაწერილი. ეს მოთხოვნა აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ჯანმრთელობის დაცვის პერსონალზე, რაც დაწესებულებამ შეასრულა - ხვანჭკარის საბავშვო ბაღის ექთნის პირად საქმეებში არსებული სერტიფიკატით დასტურდება შესაბამისი უნარების ფლობა.

ავტორიზაციის სტანდარტების მოცემული ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად საგანმანათლებლო პერსონალის მიერ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის სავალდებულოობა გაწერილი არ აქვს, არც შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით არ აქვთ გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია“, სადაც გაწერილი იქნება ინდიკატორის მოთხოვნა საგანმანათლებლო პერსონალისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის თაობაზე, მოახდინოს მათი ყოველწლიური გადამზადება და ინდიკატორის შესაბამისობის დადასტურება პირადი საქმეებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის“, შემუშავებას სადაც გაწერილი იქნება ინდიკატორის მოთხოვნა საგანმანათლებლო პერსონალისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის თაობაზე, მოახდენს მათ ყოველწლიური გადამზადებას რაც დადასტურდება მათი პირადი საქმეებით და ჩატარებული გადამზადების დოკუმენტაციით.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის № 331. 76251206 ბრძანებით.

„პერსონალის მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია“-ში გაწერილია თავებად, თუ რა მიზანს ისახავს ამ მარეგულირებელი დოკუმენტის შექმნა, რა პროცესებს უნდა მიცავდეს: პერსონალის მართვის პოლიტიკის შემუშავება, დასაქმების პოლიტიკის ეტაპები, როგორ უნდა ახდენდეს დაწესებულება ადამიანური რესურსის შერჩევას, რომ საჭიროა ხდებოდეს პერსონალის საქმიანობის შეფასება და მათი პროფესიული განვითარება. მაგრამ არ იკითხება, თუ რა მეთოდოლოგიით და მექანიზმებით უნდა განახორციელოს ესა თუ ის პროცესი. არ არის

განსაზღვრული დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიხედვით დადგენილი სამუშაოს აღწერილობები, არ არის, რა მექანიზმებით აფასებს პერსონალის საქმიანობას, როგორ დაადგენს მათ საჭიროებებს და როგორ ახდენს შესაბამისი რაოდენობის და კვალიფიკაციის პერსონალის მოზიდვას, შერჩევას, დანიშვნა - ინტეგრაციას; არ დგინდება მეთოდოლოგიის შემუშავების გაცნობის, ხელმისაწვდომობის და მკიცებულებების წარმოდგენის მექანიზმების არსებობა. დოკუმენტს აქვს ე.წ. გზამკვლევის დრაფტის ფორმატი დაინტერესებული პირისათვის, რომელიც აღწერს როგორ, რა დანიშნულებით უნდა შექმნას ეს დოკუმენტი, რას უნდა მოიცავდეს, რას უნდა არეგულირებდეს და ა.შ. და ის არ არის ადაპტირებული თავად დაწესებულებაზე.

დაწესებულებას პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები (პერსონალის დანიშვნა-გათავისუფლება, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, საკადრო დოკუმენტების წარმოება, მივლინება, შვებულება) დარეგულირებული აქვს წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტებში - წესდება, შრომის შინაგანაწესი და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, რომლებიც უფრო ადრეული დოკუმენტებია და ამ დოკუმენტებში გაწერილი ნორმები არ არის თანხვედრაში „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელ მეთოდოლოგიასთან“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის № 31. 76251206 ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოს პერსონალის მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია და საკადრო საკითხებთან მიმართებაში არსებული ყველა რეგულაცია მოიცვანოს ერთმანეთთან თანხვედრაში ან პერსონალის მართვა-განვითარების ყველა საკითხი გაწეროს ერთ დოკუმენტში, რითაც დაარეგულირებს შემდეგ ძირითად საკითხებს: 1. ადამიანური რესურსების დაგეგმვა; 2. კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა და მართვა; 3. პერსონალის შეფასება; 4. პერსონალის განვითარება; 5. საკადრო დოკუმენტაციის წარმოება; აღნიშნული პროცესების გაწერისას დაწესებულებამ უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოფს "პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" შემუშავებას და დამტკიცებას „პერსონალის მართვის მარეგულირებელ მეთოდოლოგიაზე“ დაყრდნობით. საკადრო საკითხებთან მიმართებაში არსებული ყველა აქამდე დამტკიცებული რეგულაციას "ორგანოგრამა", "საშტატო ნუსხა" მოყვანილი იქნება ერთმანეთთან თანხვედრაში. სტანდარტის შესაბამისად: სრულყოფს 1. ადამიანური რესურსების დაგეგმვის; 2. კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დანიშვნის და მართვის; 3. პერსონალის შეფასების; 4. პერსონალის განვითარების და 5. საკადრო დოკუმენტაციის წარმოების მექანიზმებს. მათ შორის მოახდენს მეთოდოლოგიაზე

დაყრდნობით შემუშავებული "პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" გაცნობის, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და შექმნის მკიცებულებებს აღნიშნული პროცესის დამადასტურებლად.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „შრომის შინაგანაწესში“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის N831.76250202 ბრძანებით, გაწერილია რომ დასაქმებულ პირთან შრომითი ურთიერთობის ფორმად გამოყენებულია შრომითი ხელშეკრულება და ასევე წარმოდგენილი აქვთ შრომითი ხელშეკრულების შაბლონი. შაბლონში არის ასეთი ჩანაწერი, რომ ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და ვალდებულებები რეგულირდება თავად ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით, დამქირავებლის დებულებითა და შინაგანაწესით. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების გასაწერად დაწესებულებას გამოყენებული აქვს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მოთხოვნები, მაგრამ სრულად არ აქვს გაწერილი ყველა არსებითი პირობა, კერძოდ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული პუნქტი „სამუშაო ადგილი“, ხოლო პუნქტის - „ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების და ანაზღაურების/კომპენსირების წესი“ შესახებ, ხელშეკრულებაში ასეთი ჩანაწერია - „ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამქირავებლისა და დაქირავებულის შეთანხმების საფუძველზე“.

ადგილზე განხორციელებული ვიზიტისას წარმოდგენილ პირად საქმეებში დადასტურდა ხელშეკრულებების არსებობა ყველა პერსონალთან;

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილების და ავტორიზაციის სტანდარტების აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე) გაფორმებულ ხელშეკრულებაში არაა განსაზღვრული ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობათა ჩამონათვალი და მათი ანაზღაურების წესი;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოფს შრომითი ხელშეკრულების დანაწესები, მასში საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების არსებითი პირობების ყველა მოთხოვნის ჩაწერით (კერძოდ დასამატებელია პუნქტი „სამუშაო ადგილი“) და/ან

ასახოს ეს პირობები პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ან შრომის შინაგანაწესში პუნქტობრივად, სასურველია პროფკავშირებთან კონსულტაციით.

საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიტანოს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილების მოთხოვნები, რომელიც ეხება ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებს, რაც ასევე დარეგულირებული ექნება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით.

რჩევა

სასურველია დაწესებულებას წინასწარ დადგენილი ჰქონდეს ზეგანაკვეთურად შესასრულებელი სავარაუდო სამუშაო და მისი ანაზღაურების/კომპენსირების კონკრეტული მიდგომა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ: 1. დაწესებულება სრულყოფს შრომითი ხელშეკრულების შაბლონს, რომელშიც ასახული იქნება საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს შრომის კოდექსის" მე-14 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა, კერძოდ: დაემატება პუნქტი "სამუშაო ადგილი", სადაც კონკრეტულად მიეთითება თანამშრომლის სამუშაო ადგილი, დაკონკრეტდება ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების და ანაზღაურების/კომპენსირების წესი, ნაცვლად ზოგადი მითითებისა კანონმდებლობაზე, დეტალურად გაიწერება შევებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, დაზუსტდება სამუშაო დროისა და დასვენების ხანგრძლივობა და პირობები 2. საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელი და აღმზრდელის თანამშემწე) გაფორმებულ ხელშეკრულებაში აისახება "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილების მოთხოვნები: განისაზღვრება ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, დეტალურად გაიწერება საკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობათა ჩამონათვალი, დეტალურად გაიწერება არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობათა ჩამონათვალი, განისაზღვრება საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს ანაზღაურების წესი 3. შრომის შინაგანაწესში და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ასევე აისახება: შრომითი ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა, საგანმანათლებლო პერსონალის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილების პრინციპები. თითოეული პოზიციისთვის სამუშაო დღის განრიგი და მოვალეობების დეტალური აღწერა აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას პერსონალის მართვის რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი გააჩნია - დაწესებულების შინაგანაწესი და თანამშრომელთა უფლება - მოვალეობები, ასევე ბოლო პერიოდში დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი მეთოდოლოგია, რომელიც უნდა მოიცავდეს ყველა თემას პერსონალთან დაკავშირებით, მათ შორის ადამიანური რესურსების დაგეგმვის, კადრების შერჩევა/დანიშვნის პროცედურებს, მოზიდვისა და დასაქმების ობიექტურობისა გამჭვირვალობის დაცვის მექანიზმებს.

წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვისა და დასაქმების ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვას;

რაც შეეხება ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისობის დადასტურებას, აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავების შემდგომ პერიოდში კადრის შერჩევა/დანიშვნა არ ფიქსირდება, და შესაბამისად ვერ ფასდება მისი შესრულების შესაბამისობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„ა.ა.ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ში (დაწესებულების ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N831. 76251206 ბრძანება), გაწერილია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის ეტაპები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი თანამშრომლის სწრაფი ადაპტაციას, დისკომფორტის შეგრძნების შემცირებას. პირველ ეტაპად განსაზღვრული აქვთ დაწესებულებაში ინტეგრაცია, რაც გამოიხატება მის წარდგენაში დასაქმებულ პერსონალთან და მეორე ეტაპად - დანიშნულ პოზიციაზე ინტეგრაცია, რაც გამოიხატება მისთვის ყველა სამუშაო პროცესის და დაკავშირებული რეგულაციების გაცნობაში.

რამდენადაც აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტის მიღების შემდგომ პერიოდში არ მომხდარა ახალი პერსონალის მიღება, მტკიცებულების წარმოდგენა არ მოხდა.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელ დაწესებულებას გააზრებული აქვს ორგანიზაციული კულტურის რაობა და მნიშვნელობა. წარმოდგენილ სხვადასხვა მეთოდოლოგიებში გაწერილი აქვს ორგანიზაციული კულტურის სხვადასხვა ელემენტები. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს ძირითად ღირებულებებს, თანამშრომელთა ჩართულობის, გაზიარების მექანიზმებს, რითაც დაწესებულება უზრუნველყოფს მიზნის და მისიის შესრულებას, შრომის შინაგანაწესში გაწერილია ქცევისა და ეთიკის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების იმიჯს და რეპუტაციას, ურთიერთთანამშრომლობის და ერთობის ჩამოყალიბების, გუნდური მუშაობის მნიშვნელობას. ყოველივე ეს დადასტურდა ვიზიტის დროს, რაც გამოიხატა მათ მზაობაში სტანდარტების შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად და იგრძნობოდა ინტერვიუების დროს მოპოვებულ ინფორმაციებშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ არსებობს ასეთი მუხლი 8-პერსონალის საქმიანობის შეფასება. სადაც არის ჩანაწერი, რომ ბაღებში დასაქმებულ პირთა საქმიანობის შეფასება ხდება მათი სამუშაო აღწერილობისა და ფუნქციების შესაბამისად, შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ, სხვადასხვა მეთოდით, რომ შემფასებლები განისაზღვრება პერსონალის ფუნქციიდან გამომდინარე. მაგრამ, როგორ, რა მეთოდებით და კრიტერიუმებით ახორციელებს შეფასებას, ამის თაობაზე ჩანაწერი – შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასების მეთოდებზე, კრიტერიუმებზე და მექანიზმებზე, არ არის. პერსონალის საჭიროებების მოკვლევის მექანიზმებზე წერია მხოლოდ ის, რომ ხდება წელიწადში ერთხელ, როგორ, რა მეთოდით და ინსტრუმენტებით, არ არის შემუშავებული. მხოლოდ არსებული ჩანაწერით შერჩეული მექანიზმის შესახებ, არ უზრუნველყოფს პროცესის განჭვრიტვალობას, არ არის ნათელი და მკაფიო, შეფასების წესის და კრიტერიუმების პერსონალისათვის წინასწარ გაცნობის პროცედურაც კი არ დასტურდება.

მეთოდოლოგიაში გაწერილია საჭიროების დადგენა ე.წ. კითხვარის შევსების გზით, მაგრამ მისი შევსების მექანიზმებზე, შეფასების კრიტერიუმებზე და შესაბამისად, კითხვარის საფუძველზე საჭიროების დადგენა როგორ ხდება, არ არის მითითებული.

ბაღებში დასაქმებულ პირთა საქმიანობის შეფასების დადასტურება მტკიცებულებებით არ მომხდარა. ვინაიდან დოკუმენტის შემუშავებიდან შემდგომ პერიოდში შეფასების დრო არ დამდგარა, დაწესებულებაში არსებული პარაქტიკა ვერ შეფასდება.

სხვა დოკუმენტით, მაგალითად, დაწესებულების „შრომისშინაგანაწესით“ ინდიკატორის მოთხოვნა დარეგულირებული არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოფს დოკუმენტი „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი“ - გაწეროს ნათლად შეფასების მიზანი, წესი, კრიტერიუმები, მექანიზმები, კვლევის ფორმები, შედეგების შეფასების ანალიზის მეთოდები, განვითარების გეგმის შედგენის მეთოდები, მისი ასახვის წესი, შესრულების მონიტორინგი და შედეგების დოკუმენტირება, გეგმის რესურსებით უზრუნველყოფა და დადასტურება ბიუჯეტის შესაბამისი მუხლით. მექანიზმები უნდა იყოს ქმედითი და გამჭვირვალე. მოხდეს დოკუმენტირება და წარმოდგენა მტკიცებულებად, აღრიცხოს ყოველივე და აწარმოოს სტატისტიკა;

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ - დეტალურად გაწერს შეფასების მიზანს, წესს, კრიტერიუმებს, მექანიზმებს, კვლევის ფორმებს, შედეგების შეფასების ანალიზის მეთოდებს, განვითარების გეგმის შედგენის მეთოდებს, მისი ასახვის წესს,

შესრულების მონიტორინგს და შედეგების დოკუმენტირების საკითხებს. პერსონალის განვითარები გეგმის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმებს ბიუჯეტის შესაბამისი მუხლის მითითებით. მექანიზმები მაქსიმალურად მორგებული იქნება დაწესებულების საჭიროებაზე. აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ არსებობს ასეთი „მუხლი 9 - პერსონალის პროფესიული განვითარება“, სადაც არის ჩანაწერი, რომ ბაღებში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და საჭიროებების ანალიზის შემდეგ, პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმას ასახავს სამოქმედო გეგმაში. რაც დადასტურებულია 2025 წლის სამოქმედო გეგმით, სადაც გაწერილია პერსონალის პროფესიული გადამზადება. დაწესებულების 2025 წლის ბიუჯეტში შესაბამისი მუხლის არსებობა ადასტურებს გეგმის რეალისტურობას. რამდენადაც, დაწესებულებას არ აქვს სრულყოფილად ჩამოყალიბებული პერსონალის შეფასების და საჭიროების გამოვლენის მექანიზმები, რის საფუძველზეც შემუშავდებოდა პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, ბუნდოვანია დაწესებულების 2025 წლის გეგმაში გაწერილი პერსონალის გადამზადების მოთხოვნა.

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის“ შექმნის შემდგომ პერიოდში არ დამდგარა პერსონალის საქმიანობის შეფასების და საჭიროების გამოვლენის დრო, უშუალოდ გეგმაში გაწერილი ღონისძიების/აქტივობის შესრულების მომენტი, რათა დადასტურებულიყო ის მტკიცებულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

დაწესებულებამ პირველ რიგში სრულყოს პერსონალის შეფასების და საჭიროების გამოვლენის მექანიზმები, რის საფუძველზეც შეიმუშავებს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმას, რომელსაც გაწერს სამოქმედო გეგმაში და უზრუნველყოფს მის შესრულებას ფინანსური რესურსით, რომელიც უნდა აისახოს დაწესებულების ბიუჯეტში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „პარსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ არ არის გაწერილი თუ როგორ ხდება დასაქმებულისათვის, არა მარტო საჭიროებების მოკვლევით გამოვლენილი პროფესიული განვითარება, არამედ, პირადი ინიციატივების გამოვლენა, მხარდაჭერა და დაკმაყოფილება ორმხრივი სარგებლის მიღების მიზნით, ამ სარგებლის დაფიქსირება და წახალისება, თვითშეფასების ამაღლება, შინაგანი მოტივაციის ამაღლება - მათი მიღება და მხარდაჭერის მექანიზმები გაწერილი უნდა იყოს მარეგულირებელ დოკუმენტში, ასევე გაწერილი უნდა იყოს სავალდებულო და სასარგებლო ტრენინგების სისტემა; დამადასტურებლად არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები - პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები არ დასტურდება;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყო „პარსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ - გაწერილი უნდა იყოს პირადი ინიციატივების გამოვლენის, მხარდაჭერის და დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მექანიზმები ორმხრივი სარგებლის მიღების მიზნით, ამ სარგებლის დაფიქსირების და წახალისების, თვითშეფასების, შინაგანი მოტივაციის ამაღლების - მათი მიღება და მხარდაჭერის მექანიზმები, ასევე გაწერილი უნდა იყოს სავალდებულო და სასარგებლო ტრენინგების სისტემა. შესრულების დასადასტურებლად შექმნას დოკუმენტირების, აღრიცხვის და სტატისტიკის წარმოების მექანიზმი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ - პირადი ინიციატივების გამოვლენის, მხარდაჭერის და დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მექანიზმებიებს გავწერთ სავალდებულო და სასარგებლო ტრენინგების სისტემას. შესრულების დასადასტურებლად შევქმნით დოკუმენტირების, აღრიცხვის და სტატისტიკის წარმოების მექანიზმს.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების“ წესდება;
2. „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების“ ხვანჭკარის საბავშვო ბაღის ორგანოგრამა;

3. „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების“ ხვანჭკარის საბავშვო ბაღის სახელობითი სამტატო ნუსხა;
4. „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის №31. 76251206 ბრძანება),
5. „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შრომის შინაგანაწესი“ (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის №31. 76250202 ბრძანება);
6. „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები“;
7. „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ხვანჭკარის საბავშვო ბაღში ხელმძღვანელის ბაბა ხვედელიანის ბავშვთა ძალადობაზე პასუხისმგებელი პირად დანიშვნის შესახებ“ (დაწესებულების დირექტორის 04/02/2025 წლის ბრძანება N 831.76250356);
8. შრომითი ხელშეკრულების დრაფტი;
9. პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას არ აქვს იდენტიფიცირებული დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები და აღწერილი არ აქვს თითოეული პროცესის კონკრეტული ნაბიჯები, ეტაპები, ქმედებები თანმიმდევრულად დასაწყისიდან ბოლომდე. არ აქვს გამოჯნული ძირითადი მმართველობითი და დამხარე პროცესები. არაქვს განსაზღვრული თითოეული პროცესის მესაკუთრე/პასუხისმგებელი. შესაბამისად საქმიანობის მართვა არ ეფუძნება პროცესულ მიდგომას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ საქმიანობის წარმართვა დააფუძნოს პროცესულ მიდგომაზე. დააიდენტიფიციროს და გამიჯნოს ერთმანეთისაგან ძირითადი მმართველობითი და დამხმრე პროცესები, აღწეროს თითოეული პროცესი დასაწყისიდან დასრულებამდე. ყოველივე აღნიშნულზე შექმნას დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება თითოეული პროცესის ჩამონათვალი და მათი აღმწერები.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს გამიჯნოს ერთმანეთისაგან ძირითადი მმართველობითი და დამხმრე პროცესები, აღწერილი იქნება თითოეული პროცესი დასაწყისიდან დასრულებამდე. ყოველივე აღნიშნულზე შევქმნით დოკუმენტს, "მართველობითი, ძირითადი და დამხმრე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები"

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის მე-2 კომპონენტის პირველი კრიტერიუმის პირველი ინდიკატორის მოთხოვნის შეუსაბამობა ლოგიკურად იწვევს მეორე ინდიკატორის შეუსაბამობასაც, რომელიც გულისხმობს თითოეული მიმდინარე პროცესის განხორციელებას ხარისხის ციკლის შესაბამისად - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება. დაწესებულება ვერ ადასტურებს პროცესების მართვას ხარისხის ციკლის ეტაპებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რადგან დაწესებულებამ უნდა შექმნას დოკუმენტი, სადაც გაწერს მიმდინარე პროცესებს და მათ აღმწერებს, შესაბამისად თითოეული დაიდენტიფიცირებული პროცესისათვის უნდა გაწეროს მათი წარმართვა ხარისხის ციკლის მიხედვით, ანუ თითოეული პროცესი უნდა აღიწეროს ციკლის მიმდინარეობის მიყოლებით უწყვეტად ერთიან ჯაჭვად - როგორ ხდება თითოეული პროცესის დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, ანალიზი, პრობლემების იდენტიფიცირება და გადახედვა/გაუმჯობესება; განსაზღვრონ თითოეული პროცესის შესაკუთრე /პასუხისმგებელი პირი, ვინ რომელ ეტაპზე ერთვება, როგორც განხორციელებელი; განსაზღვრული ექნება პროცესების ურთიერთგავლენები და მჭიდრო კოორდინაცია ერთმანეთში; თითოეული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდები, მექანიზმები და ინსტრუმენტები;

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება შეიმუშავებს დოკუმენტს, "მარტველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები" სადაც გაწერილი იქნება მიმდინარე პროცესები და მათი აღმწერები, შესაბამისად გაწერილი იქნება მათი წარმართვა ხარისხის ციკლის მიხედვით, დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, ანალიზი, პრობლემების იდენტიფიცირება და გადახედვა/გაუმჯობესება; განსაზღვრული იქნება თითოეული პროცესის პასუხისმგებელი პირი. თითოეული პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდები, მექანიზმები და ინსტრუმენტები;

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას ბავშვისა და დაწესებულების სამართლებრივი კავშირის განსაზღვრისათვის შექმნილი აქვს მარეგულირებელი წესები ორ სხვადასხვა დოკუმენტად. შედარებით ადრეული დოკუმენტი არის დაწესებულების შრომის შინაგანაწესი, და უფრო ახალი მარეგულირებელი დოკუმენტი არის „ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც დაფუძნებულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობაზე და დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის №31.76251205 ბრძანებით. ორივე დოკუმენტში დარეგულირებულია ბავშვის რეგისტრაციის და მიღების, ჩარიცხვა-ამორიცხვის წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და სანდოობას, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების თანაბარ ხელმისაწვდომობას, საყოველთაობას. წესი არეგულირებს - ბავშვის მიღების ეტაპებს, ჩარიცხვას, ამორიცხვას, ჯგუფების დაკომპლექტებას, წარსადგენი საბუთების ნუსხას, რეგისტრაციის ფორმას, პრიორიტეტებს ჩარიცხვის დროს, მომლოდინე ბავშვების მართვას. ეს მარეგულირებელი დოკუმენტები არაა თანხვედრაში ერთმანეთთან, რის გამოც ბოლო პერიოდის დოკუმენტი ჩაითვლება მოქმედ დოკუმენტად.

დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცედურების განხორციელების დადასტურების პერიოდი ჯერ არ დამდგარა და მტკიცებულებების სახით მათი წარმოდგენა არ არის შესაძლებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესები სრულყოფს ცალკე დოკუმენტად - „ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ და შესაბამისად მეორე დოკუმენტიდან, შრომის შინაგანაწესიდან, ამოიღოს ეს წესები;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შრომის შინაგანაწესში არსებობს მხოლოდ ჩანაწერი, რომ „ყველა თანამშრომელზე დგება პირადი საქმე, რომლის წარმოების წესი და შინაარსი განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით და დირექტორის სხვა ბრძანებებით, რომ დასაკავებელი პოზიციის (თანამდებობის) გათვალისწინებით, დამსაქმებლის მოთხოვნით, სამუშაოზე აყვანისათვის ბაგა-ბაღში დასაქმების მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია ამ შინაგანაწესით განსაზღვრული დასაქმებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ფარგლებში და არის ჩამონათვალი დოკუმენტებისა“. თავად, უკვე მოქმედი პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი, პირადი საქმეებისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს პირადი საქმის ნაწილს არ არის გაწერილი, ასევე არ არის განსაზღვრული პირადი საქმის წარმოებაზე და დოკუმენტების შენახვა-კონფიდენციალობაზე პასუხისმგებელი პირი. რამდენადაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს უფრო გვიანი პერიოდის დოკუმენტი - „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი“, ინდიკატორის მოთხოვნა ამ დოკუმენტით უნდა შეფასებულიყო, მაგრამ ამ დოკუმენტში საერთოდ არ არის გაწერილი პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი და დოკუმენტების ჩამონათვალი. ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი პირადი საქმეების დათვალიერებით არ დასტურდება პირადი საქმეების წარმოებისათვის განსაზღვრული ყველა დოკუმენტების არსებობა, რომელიც დაწესებული აქვთ შრომის შინაგანაწესით. არ არის დაცული ინდიკატორის მოთხოვნა, რომ პირადი საქმეების წარმოებაში დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები - ყველა დასაქმებულის პირად საქმეში იდოს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა განახლების ვადების დაცვით.

პერსონალის პირადი საქმეები ინახება გაერთიანებაში.

ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესი და საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, გაწერილი აქვს შრომის შინაგანაწესში და „ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელ დოკუმენტში“. წესი დუბლირებულია და არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან. რამდენადაც უფრო ახალი მარეგულირებელი დოკუმენტი არის „ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, ინდიკატორის შესაბამისობა ფასდება ამ დოკუმენტის მიხედვით, სადაც ბავშვის პირადი საქმის დოკუმენტების ჩამონათვალი გაწერილია რეგისტრირებული ბავშვის აქტივაციის ნაწილში, მაგრამ არის განსაზღვრული ბავშვების პირადი საქმეების წარმოებაზე, დოკუმენტების შენახვასა და კონფიდენციალურობაზე პასუხისმგებელი პირი. პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია მხოლოდ ბავშვების რეგისტრაციის და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესზე. ბავშვთა პირადი საქმეები ინახება გაერთიანებაში.

დაწესებულებას არც ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი არ აქვს დაწესებულების დოკუმენტაციის შენახვისა და საქმისწარმოების წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყო „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ სადაც გაწერილი იქნება პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების ჩამონათვალი, წარმოებაზე, შენახვაზე და დოკუმენტაციის კონფიდენციალობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. პერსონალის პირადი საქმე ფორმირებული უნდა იყოს კონკრეტული პოზიციისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელიც გაწერილი იქნება წესში თითოეული პოზიციისათვის.

დაწესებულებამ ინდიკატორის მოთხოვნის შესრულების მიზნით, პერსონალის პირადი საქმეების დოკუმენტების ჩამონათვალში შეიტანოს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობის წარმოდგენა განახლების ვადების დაცვით.

დაწესებულებამ აღმოფხვრას სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში ჩანაწერების დუბლირება.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ბავშვების პირადი საქმეების წარმოების წესი და საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი ამოიღოს „შრომის შინაგანაწესიდან და მკაფიოდ გაწეროს „ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელ დოკუმენტში“, რითაც აღმოფხვრება საკითხების დუბლირება და არათანხვედრა; ბავშვის პირადი საქმეები სასურველია ინახებოდეს მომსახურების მიწოდების ფაქტობრივ მისამართზე. ამავე დოკუმენტში ცალსახად უნდა გაიწეროს ბავშვთა პირადი საქმეების წარმოებაზე, დოკუმენტების შენახვასა და კონფიდენციალურობაზე პასუხისმგებელი პირი.

სასურველია დაწესებულებას გაწერილი ჰქონდეს დოკუმენტაციის შენახვისა და საქმისწარმოების წესი (შესაძლებელია ეს წესი გაიწეროს „მიმდინარე პროცესები და მათი აღმწერები“-ს დოკუმენტში მმართველობითი პროცესების მარეგულირებელ პუნქტად, ან „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“);

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ: 1.

დაწესებულება უზრუნველყოფს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში“ გაწერილი იქნეს პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების ჩამონათვალი, წარმოებაზე, შენახვაზე და დოკუმენტაციის კონფიდენციალობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. პერსონალის პირადი საქმე ფორმირებული იქნება კონკრეტული პოზიციისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელიც გაწერილი იქნება წესში თითოეული პოზიციისათვის. 2. დაწესებულება ინდიკატორის მოთხოვნის შესრულების

მიზნით, პერსონალის პირადი საქმეების დოკუმენტების ჩამონათვალში შეიტანს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობის წარმოდგენა განახლებას ვადების დაცვით.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1 „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის Nზ31. 76251205 ბრძანება);
- 2 „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის Nზ31. 76251206 ბრძანება),
- 3 „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულების შრომის შინაგანაწესი“ (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის Nზ31. 76250202 ბრძანება);
4. პერსონალის პირადი საქმეები.
5. ბავშვების პირადი საქმეები.

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას



აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:



4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
--------------------------------------	-----------------------------------------------	------------------------------------------------------------	-----------------------------------------

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების ტერიტორიაზე არსებობს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის და საგანგებო სიტუაციებში რეაგირების შესაძლებლობა, რასაც დაწესებულება უზრუნველყოფს ამ კომპეტენციით განსაზღვრული ექტონის მეშვეობით. ექტონის კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. დაწესებულებას ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად არ აქვს გაწერილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები - პირველადი დახმარების საშუალებები, მასალები, მათი ვარგისიანობის ვადის კონტროლი, სამედიცინო შემთხვევების და მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების ხარჯვის აღრიცხვის ჟურნალის წარმოების წესი.

ინდიკატორის მოთხოვნის მეორე ნაწილი გულისხმობს საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას. დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმა, საგანგებო სიტუაციებში რეაგირების მექანიზმები. დაწესებულებას შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში გაწერილი აქვს „საგანგებო მართვის გეგმის” შემუშავების ღონისძიება.

დაწესებულებას არ აქვს დასკვნა შენობა-ნეგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე; ღონისძიება გაწერილია შესაბამისობის გეგმაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომლითაც დარეგულირებული იქნება შემდეგი საკითხები: პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის სივრცის გამოყოფა/მოწყობა და შესაბამისი აღჭურვა, პირველადი დახმარების საშუალებები, მასალები, მათი ვარგისიანობის ვადის კონტროლი, სამედიცინო შემთხვევების და მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების ხარჯვის აღრიცხვის ჟურნალის წარმოების წესი, პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე, მოთხოვნები მისი პროფესიული გადაზადების მიმართ, ამასთანავე ფუნქციები და პასუხისმგებლობები გაწერილი უნდა იყოს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტშიც, პერსონალის ფუნქციები და უფლება-მოვალეობების ნაწილში.

დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმა და შეათანხმოს ის უფლებამოსილ ორგანოსთან, რის შემდეგაც დაამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. საგანგებო მართვის გეგმით შესაძლებელი უნდა იყოს საგანგებო სიტუაციათა იდენტიფიცირება, განსაზღვრული უნდა იყოს საგანგებო სიტუაციებში პასუხისმგებელი პირები, მათი ქცევის წესები და პროცედურები, საგანგებო სიტუაციებში რეაგირებისათვის მოსამხადებელი სიმულაციური წვრთნების ჩატარების პერიოდულობა და მათი ჩატარების აღრიცხვა/დადასტურების დოკუმენტირების წესები.

სახანძრო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დასადასტურებლად დაწესებულებამ უნდა შეასრულოს ინდიკატორის მოთხოვნა წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და/ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე;

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება შეიმუშავებს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, რომლითაც დარეგულირებული იქნება შემდეგი საკითხები: პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის სივრცის გამოყოფა/მოწყობა და შესაბამისი აღჭურვა, პირველადი დახმარების საშუალებები, მასალები, მათი ვარგისიანობის ვადის კონტროლი, სამედიცინო შემთხვევების და მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების ხარჯვის აღრიცხვის ჟურნალის წარმოების წესი, პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე, მოთხოვნები მისი პროფესიული გადაზადების მიმართ, ამასთანავე ფუნქციები და პასუხისმგებლობები გაწერილი იქნება პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტშიც, პერსონალის ფუნქციები და უფლება-მოვალეობების ნაწილში. უზრუნველყოფთ წარმოვადგინოთ ცნობა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვით ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შემთხვევაშია

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების ტერიტორიაზე გაშენებულია სხვადასხვა ნარგავები და მცენარეები. არ არის აღწერილი არსებული მცენარეების სახეები და მახასიათებლები. არ აქვს შემუშავებული დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის მართვის მექანიზმები, ყველა არსებულ ნარგავზე და მცენარეზე მოძიებული ინფორმაცია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების შესახებ, არ აქვს გაწერილი საფრთხის შემცველი მცენარეების გაუვნებლობის მექანიზმები. არ აწარმოებს მწვანე საფარის აღრიცხვის შესაბამისად ინვენტარიზაციის დოკუმენტს. არ არის გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმაში ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად უნდა გაწეროს შენობაში და ეზოში/გარე სივრცეში არსებული მცენარეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, მწვანე საფარის აღრიცხვის, საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში მათი გაუვნებლობის მექანიზმები და პასუხისმგებელი პირი. ყოველივე ეს გაწერილი უნდა იყოს პასუხისმგებელი პირის სამუშაოს აღწერილობაში/ფუნქციებში/უფლება-მოვალეობებში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმაში გაწეროს შენობაში და ეზოში/გარე სივრცეში არსებული მცენარეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, მწვანე საფარის აღრიცხვის, საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში მათი გაუვნებლობის მექანიზმები და პასუხისმგებელი პირი. ყოველივე ეს გაწერილი იქნება პასუხისმგებელი პირის სამუშაოს აღწერილობაში/ფუნქციებში/უფლება-მოვალეობებში.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნათა შესაფასებლად სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას აქვს მხოლოდ ჩანაწერი „ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ რეგისტრირებული ბავშვების აქტივაციისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალში ერთ-ერთ მოთხოვნად - „მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის)“. სხვა რეგულაციები - სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში თემის ჩართულობით/თემში არსებული რესურსების გამოყენებით, დაწესებულების ტერიტორიის გარეთ აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების დროს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, ბავშვების დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის წესები/პროცედურები, გაყვანის ყოველჯერზე ინფორმირების სავალდებულობა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა აღნიშნულთან დაკავშირებით და მისი შენახვის (ბავშვის პირად საქმეში) წესი, არც ერთ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში არაა გაწერილი.

დაწესებულებიდან ბავშვის მოყვანა-გაყვანის წესი/პროცედურები და უფლებამოსილი პირები, არ არის გაწერილი არც ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში, არსებობს მხოლოდ ერთი ჩანაწერი შრომის შინაგანაწესში მშობლის ვალდებულების ნაწილში - „უზრუნველყოს აღსაზრდელის 9:00 საათიდან 10:00 საათამდე დაწესებულებაში მოყვანა“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ში (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის N831. 76251205 ბრძანება) არსებობს ასეთი შინაარსის მე-8 მუხლი - „დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოპოვებული იქნება ყველა საჭირო დოკუმენტი. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვის შესახებ ბრძანებას გამოსცემს დაწესებულების ხელმძღვანელი. ბრძანების გამოსცემის შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან“, მაგრამ, არ აქვს შემუშავებული ხელშეკრულების ნიმუში/დრაფტი. სადაც გაწერილი იქნებოდა დაწესებულებაში ბავშვის მოყვანის და დაწესებულებიდან გაყვანის წესი/პროცედურები და უფლებამოსილი პირები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოს „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის N831. 76251205 ბრძანება) - სრულყოფილად გაწეროს მასში „მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საჭიროება ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის)“. კერძოდ, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში თემის ჩართულობით/თემში არსებული რესურსების გამოყენებით, დაწესებულების ტერიტორიის გარეთ აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების დროს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები,

ბავშვების დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის წესები/პროცედურები, გაყვანის ყოველჯერზე ინფორმირების სავალდებულოობა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა აღნიშნულთან დაკავშირებით და მისი შენახვის (ბავშვის პირად საქმეში) წესი. ამავე დოკუმენტში გაწეროს დაწესებულებასა და ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით დასარეგულირებელი საკითხები, შეიმუშაოს ე.წ ხელშეკრულების დრაფტი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სრულყოფილ ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ კერძოდ, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში თემის ჩართულობით/თემში არსებული რესურსების გამოყენებით, დაწესებულების ტერიტორიის გარეთ აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების დროს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, ბავშვების დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის წესები/პროცედურები, გაყვანის ყოველჯერზე ინფორმირების სავალდებულოობა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა აღნიშნულთან დაკავშირებით და მისი შენახვის (ბავშვის პირად საქმეში) წესი. ამავე დოკუმენტში გაწერილი იქნება დაწესებულებასა და ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით დასარეგულირებელი საკითხები.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მასში მონაწილე პირების ფსიქიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები ცალსახად არც ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის გაწერილი. ემოციური უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ბავშვებისათვის პროგნოზირებადი დღის განრიგის არსებობა დასტურდება დოკუმენტში - „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი“, სადაც არის ჩანაწერი: „დღის განრიგი ჯგუფში მიმდინარე პროცესების თანმიმდევრული აღწერაა, რომელიც საგანმანათლებლო პროცესს უფრო ორგანიზებულს და პროგნოზირებადს ხდის. ეს კი ერთის მხრივ ეხმარება ბავშვებს, რომ მათ დაცულან იგრძნონ თავი, ხოლო მეორეს მხრივ საშუალებას აძლევს საგანმანათლებლო პერსონალს უკეთ დაგეგმონ დღე, სწორად

გაანაწილონ დრო, მოემზადონ შესაბამისი აქტივობისა თუ გამოწვევისთვის და სხვა. დღის განრიგი ისეა აწყობილი, რომ იძლევა ცვლილებების საშუალებას, არის პროგნოზირებადი და საქმიანობების თანმიმდევრობა მრავალფეროვანს გამოცდილებებს სთავაზობს ბავშვებს. დაწესებულებაში დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების ცნობადობა და პროცესების მარტივად აღქმადობა, მიღწეულია დასურათებული და განმარტებული დღის განრიგით, რითაც უზრუნველყოფილია წესრიგის, ორგანიზებულობის და დროისა და აქტივობების თანმიმდევრულობის შეგრძნების განვითარება. შექმნილი გარკვეული მოლოდინები უფრო კომფორტულს ქმნის გარემოს, რაც ამცირებს პრობლემურ ქცევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხოვნა - პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს, ცალკეული ფრაზებით არის მოცემული დაწესებულების შრომის შინაგანაწესში პერსონალისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობათა ჩამონათვალში: „ ბავშვის უფლებათა კონვენციის უფლებელებს“, „აღსაზრდელების, მათი მშობლების, ან თანამშრომლებისათვის საკუთარი ღირებულებების, ფასეულობებისა და შეხედულებების თავს მოხვევისათვის“. ასევე, „თანამშრომელთა უფლება-მივალეობების“ დოკუმენტში არსებობს მხოლოდ აღმზრდელის პოზიციისათვის ჩანაწერი: „ვალდებულია ერკვეოდეს ბავშვთა უფლებათა კონვენციით გარანტირებულ უფლებებში და ხელს უწყობდეს მათ შესრულებას“. მაგრამ, პერსონალი იცავს თუ არა მათ უფლებებს საქმიანობის წარმართვის პროცესში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება, არც ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის გაწერილი აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მექანიზმები - თუ როგორ, რა საშუალებების მეშვეობით ქმნიან არაძალადობრივ გარემოს დაწესებულებაში და როგორ, რა ქმედებებით იცავენ ბავშვის უფლებებს, რომ ყველა თანამშრომელი იცნობს „ბავშვის უფლებათა კონვენციას“ და „ბავშვთა უფლებათა კოდექსს“, რომ გაცნობილი არიან მოთხოვნებს ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელებისათვის, რომ მოსმენილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები, პოდკასტები, საუბრები, რათა გაიზარდოს მათი ცნობიერება ბავშვის ძალადობისაგან დაცვის საკითხებში, მონაწილეობა აქვთ მიღებული საჯარო შეხვედრებში და დისკუსიებში. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელის გარდა ეს მოთხოვნა ეხებოდეს ყველა თანამშრომელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს ბავშვის უფლებების დაცვის მარეგულირებელი მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება შემდეგი საკითხები: დაწესებულების პერსონალი უნდა იცნობდეს ბავშვთა უფლებების სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს - „ბავშვის უფლებათა კონვენციას და საქართველოს კანონს „ ბავშვთა უფლებათა კოდექსს” . დაწესებულება ქმნიდეს არაძალადობრივ გარემოს, პერსონალი ფლობდეს არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს, ბავშვს (მიუხედავად ასაკისა) პატივს სცემენ, როგორც ინდივიდს. ხელს უწყობენ ბავშვის ღირსების, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, განათლების, განვითარების უფლებების დაცვას, მისი უფლებებისა და თავისუფლების რეალიზებას. მნიშვნელოვანია ასევე გაიწეროს მშობლების ჩართულობაც, მათი ცნობიერების ამაღლების გზები და მექანიზმები და გაიწეროს ასევე ბავშვის მიმართ ძალადობის შედეგებისა და პასუხისმგებლობის თაობაზე და დადასტურების დოკუმენტირების წესი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება შეიმუშავებს ბავშვზე ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი , სადაც გაწერილი იქნება შემდეგი საკითხები: პერსონალის მიერ ბავშვთა უფლებების სფეროში არსებულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს - „ბავშვის უფლებათა კონვენციას და საქართველოს კანონს „ ბავშვთა უფლებათა კოდექსს” . ასევე წესში გაიწერება მექანიზმები პერსონალის ინფორმირების შესახებ ფლობდეს არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს, ბავშვს (მიუხედავად ასაკისა) პატივს სცემენ, როგორც ინდივიდს. ხელს უწყობენ ბავშვის ღირსების, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, განათლების, განვითარების უფლებების დაცვას, მისი უფლებებისა და თავისუფლების რეალიზებას. ასევე გაიწერება მშობლების ჩართულობის მექანიზმები, მათი ცნობიერების ამაღლების გზები. გაიწერება ასევე ბავშვის მიმართ ძალადობის შედეგებისა და პასუხისმგებლობის შესახებ ასევე აღიწერება ბავშვზე ძალადობის დადასტურების შემთხვევაში დოკუმენტირების წესი.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხოვნის შესრულების მიზნით სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტი „ბავშვზე ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედების პროცედურები“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის №31. 76251203 ბრძანებით „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N 437 დადგენილების მიხედვით. რეგულაცია მოიცავს: ინფორმაციას სავარაუდო ძალადობის ნიშნების თაობაზე, დაეჭვებული ადამიანის მიერ ხელმძღვანელი პირის ინფორმირების ვალდებულება, ინფორმირების წესი/პროცედურები, ცხელი ხაზების, საკონტაქტო ნომრების ჩამონათვალი. ამ ინდიკატორის მოთხოვნების შემდეგი ხაზი, რომ გამოყოფილი იყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ბავშვთა ძალადობისაგან დაცვაზე (რეფერირებაზე) პასუხისმგებელი პირი, დარეგულირებულია დაწესებულების მიერ. გაწერილია ფუნქციები, ქმედების ეტაპები, პროცედურები. წარმოდგენილია დირექტორის 04/02/2025 წლის ბრძანება N 31.76250356) პასუხისმგებელი პირის დანიშვნის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვისათვის ისეთი მოდგომების შემუშავება და გარემოს ისეთი მოწყობა, რომ მან კომფორტულად იგრძნოს თავი, არ დაისტრესოს ახალ გარემოში მოხვედრის დროს, უცნობი ადამიანების გარემოცვაში ყოფნით, ახალი, უცხო წესებით და დაცულ იქნას მისი მორალური უსაფრთხოება, ინდიკატორის ეს მოთხოვნა უნდა დარეგულირდეს შესაბამისი მეთოდებით/მოდგომებით და პროცედურებით. რაც დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს.

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესების წარმართვაში, როგორც საგანმანათლებლო კიმპონენტი, ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის ელემენტები გამოხატება პრაქტიკულ აქტივებებით, მაგრამ ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის ხელშეწყობის მოთხოვნა, როგორც ბავშვის ემოციური უსაფრთხოების და დაცულობის ელემენტები, დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ, ბავშვის ემოციური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შეიმუშაოს ბავშვისათვის ახალ გარემოში შესვლის, ცვლილებების და ადაპტაციის მეთოდები და მიდგომები, ტრანზიციის მექანიზმები, შიდა და გარე ტრანზიციის სახეების აღწერები, როგორცაა: პირველად შესვლა ბაღში, ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლა, ახალ ჯგუფში/ბაღში გადასვლა, სკოლაში წასვლა. მეთოდები/მიდგომები უნდა მოიცავდეს პერსონალის როლს და ფუნქციას ტრანზიციის ბავშვისათვის უმტკივნეულოდ გადატანის და ოჯახის მხარდაჭერის საქმეში. უნდა აღიწეროს შიდა ტრანზიციების განხორციელების მეთოდები/მიდგომები, აქ იგულისხმება დღის განმავლობაში მცირე გადასვლები ერთი სიტუაციიდან მეორეში, რომელიც კარგად გამოიხატება თამაშის ელემენტების გამოყენებით, ბავშვების ბაღის საქმიანობაში თანამონაწილეობითი პრაქტიკით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება, ბავშვის ემოციური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შეიმუშავებს ბავშვისათვის ახალ გარემოში შესვლის, ცვლილებების და ადაპტაციის მეთოდები და მიდგომები, ტრანზიციის მექანიზმები, შიდა და გარე ტრანზიციის სახეების აღწერები, როგორცაა: პირველად შესვლა ბაღში, ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლა, ახალ ჯგუფში/ბაღში გადასვლა, სკოლაში წასვლა.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელი დაწესებულების საქმიანობაში დასტურდება სხვადასხვა ტიპის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის ფლობა - პერსონალის, ჩარიცხული ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ. ეს ინფორმაცია მოიცავს: ფოტოებს, ვიდეოებს, ინფორმაციას ჯანმრთელობის შესახებ და სხვ.

ინფორმაციის კონფიდენციალურობის თაობაზე არსებობს მხოლოდ ჩანაწერი „დაწესებულების თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებში“ აღმზრდელის, აღმზრდელის თანაშემწის და ფსიქოლოგის პოზიციისათვის, რომ „ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა აღსაზრდელისა და მისი ოჯახის შესახებ, სისტემატიურად აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას“. სხვა სახის ჩანაწერი ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის სავალდებულოობის თაობაზე, არც ერთ დოკუმენტში იკითხება. ანუ, დაწესებულებას ამ

ინდიკატორის მოთხოვნები დარეგულირებული არ აქვს არც ერთ დოკუმენტში, სადაც უნდა ჩანდეს, რომ გაწერილი აქვს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვის და კონფიდენციალობის დაცვის პროცედურები და მისი შემუშავების დროს იხელმძღვანელა როგორც იურიდიული, ისე ეთიკური პასუხისმგებლობით. ასევე არ აქვს გაწერილი ბავშვისათვის ფოტო/ვიდეოს გადაღებისა და მისი საჯაროდ გამოქვეყნების წესი და ამის თაობაზე ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ნებართვის ფორმა და მისი შენახვის (ბავშვის პირად საქმეში) წესი, აქვს მხოლოდ ჩანაწერი „ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ რეგისტრირებული ბავშვების აქტივაციისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალში ერთ-ერთ მოთხოვნად - „მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილზე ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტი - „ა.ა.ი.პ. ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ და „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის დოკუმენტი“, რომელიც შექმნილია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტში მითითებულია რომ დაწესებულებას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. დოკუმენტი ეხება მხოლოდ დაწესებულების პერსონალის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვის საკითხებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების გამჟღავნების, განკარგვის და კონფიდენციალობის დაცვის წესი და ამ წესის შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმები, მათ შორის, აღნიშნული მიმართულებით პერსონალისათვის ცოდნის დადასტურების მექანიზმი.

დაწესებულებას შეუძლია ამ შემუშავებული წესის შეტანით სრულყოს „ა.ა.ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის N831. 76251205 ბრძანება). ასევე სრულყოფილად გაწეროს ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საჭიროება ბავშვისათვის ფოტო/ვიდეოს გადაღების და მათი საჯაროდ გამოქვეყნებისათვის, წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა აღნიშნულთან დაკავშირებით და მისი შენახვის (ბავშვის პირად საქმეში) წესი. ასევე, ამ საკითხის სავალდებულოება გაწეროს დაწესებულებასა და ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით დასარეგულირებელი საკითხებში.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება შეიმუშავებს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების გამჟღავნების, განკარგვის და კონფიდენციალობის დაცვის წესს და ამ წესის შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმებს, მათ შორის, აღნიშნული მიმართულებით პერსონალისათვის ცოდნის დადასტურების მექანიზმს.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ში (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის Nბ31. 76251205 ბრძანება)
2. „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი“ (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის Nბ31. 76251209 ბრძანება)
3. „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების პროცედურები“ (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის Nბ31. 76251203 ბრძანება)
4. „ა.(ა).ი.პ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ხვანჭკარის საბავშვო ბაღში ხელმძღვანელის ბაბა ხვედელიანის ბავშვთა ძალადობაზე პასუხისმგებელი პირად დანიშვნის შესახებ“ (დაწესებულების დირექტორის 04/02/2025 წლის ბრძანება N ბ31.76250356);
5. დღის განრიგი (დასურათებული);
6. ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის/ტრანზიციის ამსახველი მასალები/აქტივობები.
7. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ექთნის);

შეფასება:

4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
--------------------------------------	----------------------------------------------------------	-------------------------------------------------	-----------------------------------------

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელ დაწესებულებას გააჩნია ფინანსური რესურსი მუნიციპალიტეტის სუბსიდიის სახით, რაც დასტურდება დამტკიცებული ბიუჯეტის არსებობით („ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულების 2025 წლის ბიუჯეტი. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №31. 762439001 ბრძანება). მაგრამ აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების დადასტურება შეუძლებელია, იმდენად რამდენადაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 2025 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილ აქტივობებს არ აქვთ მითითებული შესაბამისი/საჭირო ფინანსური რესურსი, რათა დადგინდეს გეგმების რეალისტურობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყო სამოქმედო გეგმის ფორმატი, სადაც აუცილებელ მოთხოვნად ნაჩვენები იქნება ყოველი აქტივობის უზრუნველყოფისათვის გაწერილი რესურსი როგორც ფინანსური, ასევე მატერიალური და ადამიანური, რითაც შესაძლებელი იქნება სამოქმედო გეგმის განხორციელების რეალისტურობის დადგენა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოდგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება სრულყოფს სამოქმედო გეგმის ფორმატს, სადაც აუცილებელ მოთხოვნად ნაჩვენები იქნება ყოველი აქტივობის უზრუნველყოფისათვის გაწერილი რესურსი როგორც ფინანსური, ასევე მატერიალური და ადამიანური, რითაც შესაძლებელი იქნება სამოქმედო გეგმის განხორციელების რეალისტურობის დადგენა.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მამიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2025 წლის ბიუჯეტი ჩაშლილი მუხლობრივ ჭრილში, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2024 წლის 24 დეკემბრის N831. 762439001 ბრძანებით. დაწესებულება განკარგავს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებს განსაზღვრული სუბსიდიის ფარგლებში. დაწესებულებას საკუთარი შემოსავლები არ გააჩნია. დაწესებულება ფინანსური რესურსების სწორად და ეფექტურად განაწილების მიზნით უნდა ახორციელებდეს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სწორ დაგეგმვას და საჭირო რესურსების გათვლას. დაწესებულებას კი საერთოდ არ აქვს იდენტიფიცირებული და აღწერილი დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემდა სუბსიდიის ფარგლებში შეედგინა სწორი პროგრამული ბიუჯეტი (ამ მოთხოვნის შეუსაბამობა აღწერილია მე-4 სტანდარტის მე-2 კომპონენტის პირველი კრიტერიუმის პირველ ინდიკატორში), აქ მოიაზრება სწორედ, დამტკიცებული კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შექმნა-განახლება ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით, გარემოს შესაბამისი მოწყობის უზრუნველყოფა და სხვა. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებას წარმოდგენილ დოკუმენტში „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“- (დაწესებულების დირექტორის 30.04.2025 წლის N831. 76251204), არ აქვს შემუშავებული ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის შერჩეული მეთოდი/მექანიზმები და ინსტრუმენტები (ამ მოთხოვნის შეუსაბამობა აღწერილია მე-4 სტანდარტის მე-3 კომპონენტში), რომელიც საშუალებას მისცემდა დაწესებულებას სწორად განესაზღვრა მისაღები/ჩასარიცხი ბავშვების რაოდენობა დაწესებულებაში არსებულ რესურსებზე დაყრდნობით. მით უფრო, რომ დაწესებულებას ასევე არ აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი, სადაც სწორად განსაზღვრავდა კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებს, არ აქვს ამის გამოთვლის მექანიზმები შემუშავებული (ამ მოთხოვნის შეუსაბამობა აღწერილია მე-2 სტანდარტის მე-2 კომპონენტის მე-2 კრიტერიუმის მე-1 და მე-2 ინდიკატორის მოთხოვნებში) და შესაბამისად ვერ შეფასდება მათი ფინანსური უზრუნველყოფა. ანუ, თუ არ ვიცით რა და რამდენი რესურსია საჭირო კურიკულუმის უზრუნველყოფისათვის, ვერ გვეცოდინება, რა ფინანსური რესურსია საჭირო, შესაბამისად ვერ შეფასდება დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობისათვის დაწესებულებას დასჭირდება საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა. კერძოდ პირველ რიგში უნდა შეიმუშაოს/სრულდეს სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები: „ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“, „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“, „კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი

ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი“, „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი“, რის მიხედვითაც მოახდენდა ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიის სწორად დაგეგმვა-განაწილება-განკარგვას სხვადასვა მიმართულებებში. სწორად დაგეგმილი და განაწილებული ფინანსური რესურსები დაარეგულირებდა ინდიკატორის შესაბამისობას - უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სრულყოფილ : „ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“, „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“, „კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი“, „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი“, რის მიხედვითაც მოახდენს ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიის სწორად დაგეგმვა-განაწილება-განკარგვას სხვადასხვა მიმართულებებში. სწორად დაგეგმილი და განაწილებული ფინანსური რესურსები დაარეგულირებდა ინდიკატორის შესაბამისობას - უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა.

აღნიშნულს დაწესებულება უზრუნველყოფს 12 თვიან ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის საკუთარი სისტემა, რომელშიც გაწერილი იქნებოდა ბიუჯეტის დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და სხვა შინაარსობრივი მხარე. ვინაიდან დაწესებულება არის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში სკოლამდელი განათლების სფეროს რეგულირებისათვის დაფუძნებული საჯარო დაწესებულება, მისი საქმიანობა რეგულირდება მუნიციპალიტეტში არსებული საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით და სრულად მათი რეგულაციების ფარგლებში განაგებს/მოიხმარს ფინანსურ სახსრებს. ხოლო მონიტორინგის განხორციელება საბიუჯეტო სახრების ხარჯვაზე უშუალოდ მერიის აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის მეშვეობით ხდება, მით უფრო „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნით დაფინანსების წესსა და ფორმას სკოლამდელ დაწესებულებას უდგენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკრებულო.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგების პერიოდი დაწესებულებისათვის ამჟამად გასული არ არის, რათა მოხდეს მათი შესრულების შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულების 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის №31. 76251207 ბრძანება (დანართი „2025 წ სამოქმედო გეგმა“);
2. „ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულების 2025 წლის ბიუჯეტი. (დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №31. 762439001 ბრძანება).

შეფასება:			
4.7 ფინანსური რესურსი			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. სავალდებულო დანართის დასახელება	
ვიზიტის დღის წესრიგი	
4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი	
დანართის N	2. სხვა დანართის დასახელება



1	
2	
3	

თარიღი 09 /10/2025

ხელმოწერი

სახელი გვარი

ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ხარისხის ექსპერტი

ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები
კურიკულუმის ექსპერტი:

სოფიო ჭუმბურიძე

ს. ჭუმბურიძე

კვების დარგში ექსპერტი:

თამარ ჭონიჭილი

თ. ჭონიჭილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:

ბაია აბაშიძე

ბ. აბაშიძე

4.3. კომპონენტი გამსაზღვრელ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი									
საფირმო სახელწოდება: ა.ა.ს.პ. ამბროლაურის სკოლამდელი სააღმწრდელო დაწესებულება (422990339) პროგრამ(ებ)ის განმარტების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ბუნების სასაფეო ხალი				სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 28 მაისის ბრძანება		N MES 6 25 0000588940			
პროგრამ(ებ)ის განმარტების დეტალური მისამართი: (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დასახოველი/ქუჩა და N) ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბუნების				ვინების თარიღი: 2025 წლის 17-18 ივნისი					
კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მიხედვით გამსაზღვრელი მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ დანა დადგენილ ზღვრულ რაოდენობას									
N	ინდიკატორი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	წაილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები			
1	დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმწრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ აკორიზაციის ვადითა და დადგენილი ზღვრულ რაოდენობის გათვალისწინებით					1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 2. დაწესებულების შემოწმების ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ დასკვნა, რომელიც გაცემულია სსიპ-ლევან სამარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის კრიშენული ბიუროს მიერ. 3. დოკუმენტი,საქმეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია* (დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 30 აპრილის N8 31. 76251204 ბრძანება) 4. ფოტოსახლია დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა			
2	დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შემოწმის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მინარტ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>				
3	დაწესებულების შემუშავებული აქვს ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს								
შესაბამისობის კითხვარი									
N	შეფასების ინდიკატორი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	წაილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა	რეკომენდაცია	რჩევა	არეკომენტირებული პოზიციის გაზიარება
1	დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმწრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ აკორიზაციის ვადითა და დადგენილი ზღვრულ რაოდენობის გათვალისწინებით:								
	დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	დაწესებულების შემოწმის კანონიერ მეთოდოლოგია არსებობს უდასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერი, არსებობს ვადით.			დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მოთხოვს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შემოწმის ნაგებობის სტუმრის მოძიებას. არ არსებობს შემთხვევაში კომპეტენტურ ორგანოს მიერ შესრულებულია უზრუნველყოფის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დასკვნის მოწოდებას შესაბამისობის სასამართლო ექსპერტის კრიშენული ბიუროს მიერ
	დაწესებულებას აქვს შემოწმის ნაგებობის სტუმრის	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	დაწესებულებას არ აქვს შემოწმის ნაგებობის სტუმრის-ნაგებობის შიდა აზიზიითი ნახაზი. დაწესებულებამ შემოწმის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ დასკვნა, რომელიც გაცემულია სსიპ-ლევან სამარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის კრიშენული ბიუროს მიერ, წარმოადგინა ადგილზე ვიზიტის დროს. დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა შემოწმის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, არც გაცემული განცხადი სახანძრო	დაწესებულებამ მოიძიოს შემოწმის ნაგებობის სტუმრის არ არსებობის შემთხვევაში კომპეტენტურ ორგანოს შესარტულების აზიზიითი ნახაზი. დაწესებულებას უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა შემოწმის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (შესაბამისობის აღმოფხვრა გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის კრილიანი გეგმით)		დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მოთხოვს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შემოწმის ნაგებობის სტუმრის მოძიებას. არ არსებობს შემთხვევაში კომპეტენტურ ორგანოს მიერ შესრულებულია უზრუნველყოფის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დასკვნის მოწოდებას შესაბამისობის სასამართლო ექსპერტის კრიშენული ბიუროს მიერ
	დაწესებულებას აქვს მინარტე უფლებამოსილი უწყებასთან შემოწმის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. აქვს მხოლოდ მწერლობის მტრისადმი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე.			დაწესებულებას უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, აღნიშნულს დაწესებულებას უზრუნველყოფს 12 თვიან ვადით
2	.								
2.1.	დაწესებულებას აქვს შემოწმის ექსპლუატაციის მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მწერლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>				
2.2.	მოთხოვნები დაწესებულების შემოწმის ნაგებობის მინარტ								
	დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>				
	ჯგუფური ითახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>				
	მესამე სართულზე (სპეციის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:								
	ადმინისტრაციული სამუშაოები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>				
	ღია სარკინიგზო სივრცეები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>				
	გარე სივრცე ფიზიკური აქტივობისთვის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>				
	სასკოლო მზაობის ჯგუფები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>				
	მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:					დაწესებულება განთავსებულია ტრისართულიან შემოწმის, სარდავის გარეშე.			

ამდე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძები(ბ) ბავშვებისათვის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
შესაძრავ სართულის კიბის უკრებს კიბის დასაწყისში აქვს დამკვივ ბარიერი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
2.3. დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შეზღუდული საცხოვრებელი სივრცეები:									
ჯგუფური ოთახები ან და კორპორაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით - სართი სივრცე, ამასთან ყველა გვერდი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფური ოთახით ან კორპორაციის მოხმებიდან გამომდინარე შერჩეული სართი სივრცით მანქანა არანაკლებ 2კმ.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
სამინერბო ოთახი/მოსაცემელი სივრცე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
ადრული და სკოლაში განთავსების პირველი წლის გვერდებში სამინერბო სივრცე განთავსებულია იმდენ სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
გასადელი ზონა, რომელიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი წიგნების შესანახად	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
სანიტარული კვანძები/ბინა პერსონალისთვის	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
სანიტარული კვანძები/ბინა პერსონალისთვის	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
ანტიბაქტერიული საშუალებები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საშუალებებისთვის)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
დახურული სივრცე სენზი-მოტირული აქტივობებისთვის/დარბაზი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
თუ დახურული სივრცე სენზი-მოტირული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნაცვერსადგომი, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განათების პირველადი წყაროთი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
კვების ბლოკი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
სამუშაო ოთახი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
ადრული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ სართულზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
ადრული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მუშაობის დეველოპმენტისთვის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც კარგად დაცულია გამოყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/ობლივირებული შესადგელი შენობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამჟამად არაა ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრული და სკოლაში აღზრდისა და განათლების გვერდითი ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ზანტე ლიფტი მუშაობის შესაძლებლობის მქონე პირებისთვის	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>					
